ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲒᲐᲫᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 120 (19562) ◆ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 22 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა მეთორმეტე ხუთწლედის დაგალებათა წარმატებული შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხი. როგორც სხდომაზე აღინიშნა, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად საბჭოთა ადამიანები ყველგან ავლენენ შრომითს ენთუზიაზმსა და შემოქმედებითს ინიციატივას, ცდილობენ საქმით უზრუნველყონ პარტიის მიერ დასახული წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა. ყოველივე ეს კარგ საფუძველს უქმნის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ხუთწლედის დაგალებათა შესრულების ქმედითი ფაქტორი უნდა გახდეს.

შეჯიბრების ცენტრალური ამოცანა ის არის, რომ განვავითაროთ ქალაქისა და სოფლის მილიონობით შრომელის ინიციატივა და შემოქმედება, ყველაფერი ვიღონოთ, რათა არც ერთი შრომითი თაოსნობა არ დარჩეს უყურადღებოდ და მხარდაჭერილად. სოციალისტური ვალდებულებანი დაძაბული გეგმების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალება უნდა გახდეს. ვალდებულებათა შესრულებას მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისების დაგეგმვის სისტემა. ამასთან მთელი ყურადღება უნდა დაითმოს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის, ნედლეულისა და მასალების რაციონალური ეკონომიის მიღწევას, სახელმეურეველობო ვალდებულებების, საცხოვრებელი და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის გეგმების უთუო შესრულებას.

პოლიტბიუროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა გაზრდილი ამოცანები აქვთ დასახული პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა საფეხურის ხელმძღვანელებს, რათა შექმნან ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები შეჯიბრების განვითარებისათვის, გულმოდგინედ აღმოფხვრან ფორმალიზმი, ვიწრო წრეში შეჯიბრების შედეგების შეჯამების მანკიერი პრაქტიკა, ძირეულად გაუმჯობესონ მოწინავე გამოცდილების გაერცელებისა და გამოყენებისათვის მუშაობა.

მოიწონეს წინადადებანი ჩვენს ქვეყანაში ინფორმატიკისა და ელექტრონიკის ცენტრის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა მოაწყოს კვლევა განმსაზღვრელი მიმართულებებით გამოთვლითი ტექნიკის დარგში, კომპლექსურად გადაწყვიტოს სახალხო მეურნეობისათვის პერსპექტიული ელექტრონული გამოთვლითი მანქანების, ელექტრონული ტექნიკის ნაწარმის, მოწყობილობისა და მასალების შექმნის საკითხები. ამ მუშაობაში ცენტრი მჭიდროდ ითანამშრომლებს მომმე სოციალისტური სახელმწიფოების შესაბამის ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში.

წინათ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი კონტროლის წესით პოლიტბიუროს განიხილა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების შემცირებისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც საავდებულოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. აღინიშნა, რომ ანგარიშგების საერთო მოცულობა შემცირდა დაახლოებით ორჯერ. მაგრამ მთლიანად ანგარიშგება, განსაკუთრებით დარგობრივი, კვლავ დიდია, მის ორგანიზაციას კი შემდგომი სრულყოფა სჭირდება. არის ფაქტები, როცა დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ცალკეული პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებები მოითხოვენ დიდ დამატებითს ანგარიშგებას, ტვირთავენ მის სამეურნეო ორგანიზაციებს, რის საჭიროებაც არ არის. ამასთან დაკავშირებით პოლიტბიუროს მ პარტიულ კომიტეტებს, სამინისტოებსა და უწყებებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მოსთხოვა განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ანგარიშგების შემდგომი შემცირებისა და სახელმწიფო სტატისტიკის მთელი საქმის გაუმჯობესებისათვის.

პოლიტბიუროს განიხილა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტებს — სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის გრძელვადიან პროგრამასა და კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1986-1990 წლების პროგრამას. გამოითქვა კმაყოფილება ამის გამო, რომ გაიმართა აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხარეები ისწრაფვიან კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობა და გააფართოონ ყოველმხრივი თანამშრომლობა.

მოისმინა რა ინფორმაცია პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანთან ა. კუნიალთან ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შესახებ, პოლიტბიურომ მოიწონა მისი შედეგებიდან გამომდინარე დასკვნები, რომლებიც უკავშირდება მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ორი პარტიის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას.

პოლიტბიურომ განიხილა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარესთან ფ. გონსალესთან საბჭოთა ხელმძღვანელობის შეხვედრებისა და მოლაპარაკების შედეგები და აღინიშნა, რომ ამ მოლაპარაკების კონსტრუქციული ხასიათი შესაძლებლობას იძლევა კვლავაც გააფართოონ საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ურთიერთგაგება და თანამშრომლობა ორი ქვეყნის ხალხთა, ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობის, ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და საბჭოთა საგარეო პოლიტიკის განხორციელების მთელი რიგი სხვა საკითხები.



# მთიბავი

**ᲐᲮᲚᲐ** ჩვენში თივაზე, სენაჟზე, ნამჯასა და სილოსზე საზოგადოებრივი მეურნეობები ისევე ზრუნავენ როგორც პურზე. ყუათიანი საკვები ფერმებში საკმარისად თუ აქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იქნება მეტი რძე, ხორცი, ყველი და სხვა პროდუქტები. მარტო ამ გაზაფხულზე აგროვადებში დაითესა 9.500 ჰექტარზე მეტი შვრია, 100.000 ჰექტარამდე ერთწლოვანი და 19.000 ჰექტარამდე მრავალწლოვანი ბალახები.

ამ გაზაფხულზე ერთობ ხელსაყრელი ამინდები იდგა, და სოფლად, რომ იტყვიან, ქვაზეც კი ბალახი ამოვიდა. კარგად აღმოცენდა და განვითარდა ნათესი ბალახებიც. ბუნებრივი ბალახები შესანიშნავად განვითარდა და მთიბავს უხმობს. მთიბავს კი კარგი გამართული სათიბელა და მეურნეობათა ხელმძღვანელების გულისყური უნდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთავრდება სათიბელების, ბალახის შესაგროვებელი და სხვა მანქანების შეკეთება. ახლა მთავარია მთიბავთა საგულდაგულო გარჯა, ყოველი დარანი დღისა თუ ღუთის მაქსიმალურად გამოყენება.

მთიბავთა გონიერებაზე, საგულდაგულო გარჯასა და ერთგულ მუშაობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოემზადებიან საზოგადოებრივი მეურნეობები პირუტყვის მომავალი გამოზამრებისათვის. სოფლად ყველასათვის ცნობილია და მით უმეტეს მთიბავისათვის, რომ დროზე გათიბული და დაწვინული თივა, აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადებსა და წესების ზუსტად დაცვით ჩადებული სენაჟი თუ სილოსი თავისი ყუათიანობით როგორ უხდება პირუტყვს, ზრდის პროდუქტიულობას, ხოლო საკვების გონივრული ხარჯვა აიფებს მას.

საკვების დაგროვება — ბალახების თიბვა მიმდინარეობს ბოლნისში, სიღნაღის, წიფელწყაროს, ლაგოდეხის რაიონებში, გაგრის ზონაში და სხვა. წიფელ წყაროს რაიონში სასენაჟედ გათიბულია 2.041 ტონა ბალახი, ჩადებულია 1.711 ტონა, გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მთიბავებმა 940 ტონა სენაჟი ჩადეს. უგანრიგო ბრიგადის ხელმძღვანელის უშანგი ლეკაშვილის მთიბავები ისე როგორც წინა წლებში, გამართულად, რიტმულად ამუშავებენ სათიბელებსა და მწვანე მასის შემგროვებელ მანქანებს. კოლმეურნეობის გამგეობა ყოველმხრივ უწყობს ხელს საკვებმომპოვებლებს.

ბალახს, ისევე როგორც სამკალს, მეოსტატეურად ბალახ-ბალახ, დაცდა არ უყვარს. დროზე გათიბავ — მოიგებ, დაგვიანებ — წააგებ. სწორედ დროზე და გულმოდგინედ თიბავა მთავარი. ამისათვის [illegible] — [illegible] ყველა მრომისუნარიანმა სათიბებს არ [illegible] [illegible] [illegible] საზოგადოებრივ მეურნეობათა მშრომელებმა, სპეციალისტებმა, სოფლის ინტელიგენციამ, ყველა მეცხოვრებმა, მოსწავლეებმა, ქალაქებისა და ორგანიზაციების მშრომელებმა.

ახლანდელი საკვების დამზადების კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მთელი მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რათა არათუ უზრუნველყოთ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში საკვების საიმედო მარაგი, არამედ დავეხმაროთ კიდეც სოფლის მცხოვრებთა საკარმიდამო მეურნეობებს, სადაც პირუტყვი ჰყავთ.

მთიბავი დღეს სათიბში მთავარი ფიგურაა. ყოველმხრივ შევუწყოთ მას ხელი!

ყველანი სათიბში, გაუთიბავი არ დავტოვოთ არც ერთი კვადრატული მეტრი ნათესი და ბუნებრივი ბალახები! — ასეთია სოფლად სადღეისო ამოცანა.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ—ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ!

# ᲕᲗᲘᲑᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲗᲘᲑᲝᲗ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ

### „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲕᲘᲛᲞᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐᲡ, ᲠᲒᲝᲚᲘ

**ᲐᲮᲚᲐ** მთიბავებს დიდი გამოცდის პერიოდი დუუდგათ — მომდინარეობს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა, თივისა და სენაჟის დამზადება.

თიბვის, თივისა და სენაჟის დამზადებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკაში მთელი ძალით გაჩაღდა.

**გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია** მეტი და მაღალხარისხოვანი უხეში საკვების დაგროვებისათვის აწესებს ვიმპელსა და ფასიან საჩუქარს (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონებისათვის ცალ-ცალკე) იმ მთიბავთა ბრიგადის ან რგოლისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს თიბვასა და მაღალხარისხოვანი თივის დაგროვების და ფერმებთან დაზვინვის საქმეში. შეჯიბრების შედეგებს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების წარდგენით შეაჯამებს რედაქციის ჟიური.

„კომუნისტის“ რედაქცია გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გაამუქებს საკვებმომპოვებელთა საქმიანობას, ხოლო გამარჯვებულ ბრიგადებზე ან რგოლებზე დაობებქდება ვრცელი კორესპონდენციები (ფოტოსურათებით) იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს გამარჯვებას.

**გარდა ამისა „კომუნისტის“ რედაქცია ქმნის ორ საგუშაგოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში. საგუშაგოს წევრები არიან გაზეთის საკუთარი კორესპონდენტები, რომლებიც სისტემატურად შეამოწმებენ თიბვისა და უხეშის საკვების დაგროვების, ფერმებთან დაზვინვის მიმდინარეობას. საგუშაგოს წევრები მოურიდებლად ამხელენ ნაკლოვანებებს და ზუნს.**

საკვებმომპოვებლებო! ფართოდ ჩაებით უხეშის საკვების სიუხვისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში!

**მოწდომებით** შრომობენ ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მშრომელები მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებისათვის. განსაკუთრებით მეცხოველეებმა ისახელეს თავი. მათ ჯერ კიდევ 16 აპრილისათვის გადაჭარბებით შესრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის 4 თვის დავალება. სახელმწიფოს

## ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

2.533 ცენტნერის ნაცვლად 2.918 ცენტნერი ხორცი მიეყიდა, რძე — 3.585 ცენტნერი, საგეგმოზე 887 ცენტნერით მეტი.

რძის წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 581 ცენტნერით. ხოლო ფითოეული ფურის საშუალო წველადობა — 63 კილოგრამით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში დაინაურდნენ ხევის, ხუნევის, მოლითის, ჩხერის, ღორეშის კოლმეურნეობები.

(საქ. კორ.).

# შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**22 მაისს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა განიარაღების მსოფლიო კამპანიის ფარგლებში თბილისში მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენციის საბჭოთა მონაწილეების ჯგუფს. შეხვედრაზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ე. მ. პრიმაკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. ვ. ჟურკინი, „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ექიმთა“ საბჭოთა კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ე. ვართანიანი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანი ვ. ვ. კორნილოვი, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მდივანი ვ. ნ. კალმიკი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ბ. კოკაშვილი, ბელორუსიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. სემიონოვა, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ა. დ. ალექსიძე.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნეს, თუ რა დიდი ნნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისს კონფერენციას განიარაღების მსოფლიო მოძრაობის განვითარებისათვის, როგორ აქტიური და დამაჯერებელია საბჭოთა დელეგაციის პოზიცია, რომელიც ეურდნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში ჩაწოყალიბებულ მთელ რიგ კონსტრუქციულ სამშვიდობო ინიციატივებს. აღინიშნა, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირმა კვლავ ცალმხრივი წესით გაახანგრძლივა ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფერენციის მუშაობის დღეებში მოაწყო წლის დაწდეგიდან მეოთხე ბირთვული აფეთქება ნევადაში. ამასთან დასავლეთის მილიტარისტული წრეები, რომლებიც უგულებელყოფენ ბოლიტიკური მორალის ყველა ნორმას, არ წყვეტენ ცდებს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარია გამოიყენონ საბჭოთა კავშირის იმ თანამიმდევრული მეცადინეობის შესახებ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციისა და დეზორიენტაციის მიზნით, რომელიც ითვალისწინებს გამალებული შეიარაღების ალაგმვასა და ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციას.

შეხვედრაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის საბჭოთა მონაწილეებს გააცნეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის, მიმდინარე ხუთწლედში საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საკავშირო ამოცანები, ის, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაჭრნა სამეურნეო მართვის, მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროებში. აღინიშნა რესპუბლიკის მშრომელთა მზარდი აქტიურობა საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები ბ. ვ. ნიკოლსკი, გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გაგე რ. ა. ბოგლიძე.

(საქინფორმი).

# სსრ კავშირიდან გაემგზავრა

**ლენინგრადი**, 22 მაისი. (საქდესი). დღეს ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ფელიპე გონსალესი მეუღლითურთ საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.



# შეპირაპირება ორბიტაზე

**1986 ᲬᲚᲘᲡ** 23 მაისს 14 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით უპილოტო სატრანსპორტო ხომალდი „სოიუზ ტმ“ შეუპირაპირდა „მირ“-„პ რ ო გ რ ე ს-26“ ორბიტულ კომპლექსს, რომელიც ავტომატური რეჟიმით დაფრინავს.

ხომალდის ორი დღე-ღამის ავტონომიური ფრენის დროს მოეწყო საბორტო სისტემების, მოწყობილობისა და კონსტრუქციის ელემენტების გამოცდები. ხომალდის სამონტაჟო ორბიტაზე გაყვანისათვის შესრულდა მისი მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

ურთიერთძებნა, სადგურ „მირთან“ „სოიუზ ტმ“ ხომალდის დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება ხორციელდება ორიგე კოსმოსური აპარატის საბორტო ავტომატური საშუალებების დახმარებით. ხომალდი სადგურს შეუპირაპირდა მისი გადასასვლელი ნაკვეთურის მხრიდან.

ერთობლივი ფრენის პროგრამით გათვალისწინებული ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში სრულყოფილი „სოიუზ ტმ“ ხომალდის გამოცდები.

ორიგე კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.



# პროფესიაში საუკეთესონი

**ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ** ველ-მინდვრებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. თელავში დაწინაურდა კახეთის რაიონის ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის სახელოვანი მექანიზატორი მერაბ დავითაშვილი. იგი დღიურ დავალებას ყოველთვის დიდი გადამეტებით ასრულებს.

სურათზე: მოწინავე ტრაქტორისტი მერაბ დავითაშვილი.

* * *

**მუყაითად შრომობს საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის თბილისის ტელევიზორების ქარხნის „ეკრანის“ საამწყობო საამქროს ელექტრომონტაჟე, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ქარხნის პარტიიურის წევრი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი გალინა არტიომოვა.**

**ექვსი წლის წინ მოვიდა გალინა საწარმოში შეგირდად და მაშინვე მიიქცია ხელმძღვანელობის ყურადღება: პროგრამით გათვალისწინებულზე ორჯერ ნაკლებ დროში დაეუფლა არჩეულ სპეციალობას და დღეისათვის საუკეთესო პროფესიაში. მისი ნახელავი ყოველთვის ჩინებულია, იგი პირველობს მიმდინარე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

**ა. საპაკოვისა და ი. დავითაშვილის ფოტო.**

# ᲓᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲜᲘᲛᲣᲨᲐᲛᲓᲔ

**ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ** გაერთიანება „მიონის“ კოლექტივს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინსვლის საქმეში. ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო იჭრება ელექტრონული მიკროპროცესორული ტექნიკა, კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია.

დღეს ადარაფის უკვირს, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკაში მაგნიტოფონებში, მაცივრებში, რადიომიმღებებში, სარეცხ მანქანებში ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი მიკროელექტრონულმა ტექნიკამ.

პროექტირების ავტომატიზაცია მიკროელექტრონიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარჩენების განუყოფელი ნაწილია. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინტეგრაციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს. ამიტომაც არის, რომ დაპროექტების ავტომატიზებული სისტემის სრულყოფას ამჟამად განსაკუთრებული აქტუალური და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, ამ მიმართულებით შესრულებული ყველა სამუშაო განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიან ნ. გოგსაძე, ნ. ჯიბლაძე, ნ. კახიშვილი, რ. კოტლიარენკო, დ. სურგულაძე, ზ. შავიშვილი, ათი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა ელექტრონული ტექნიკის სისტემისათვის. სწორედ ეს ნამუშევარი შარშან მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს და მის ავტორებს დამსახურებულად მიანიჭეს ამ პრემიის ლაურეატის სატიტო წოდება.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონში“ კარგი შრომითი ტრადიციები ყალიბდება. აქ შექმნილია შემოქმედებითი ბრიგადები, ისინი იქ გაჩნდებიან ხოლმე, სადაც უჭირს რომელიმე უბანს, სადაც ესა თუ ის სიძნელეა გადასალახავი, ურთიერთდახმარება მათ ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაქცეულიათ.

გაერთიანების კოლექტივს მუშაობის კარგი პირობები აქვს. ადმინისტრაცია, პროფკავშირი ყველაფერს ღონობს მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ცხვარიჭამიაში მოქმედებს პიონერთა ბანაკი მათი შვილებისათვის. შარშან გაიხსნა თანამედროვე სტილის ახალგაზრდული კლუბი, რომელიც დიდ სამსახურს უწევს აქ მომუშავე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, გადაწყდა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხი. ამართება სანტეტრესო შეხვედრები, კონცერტები. აშენდა გამჯანსაღებელი სპორტული კომპლექსი, საცურაო აუზი, ფუნქციონირებს 600-ადგილიანი სასადილო.

დიდი ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობის გადაწყვეტის საკითხს. დღეისათვის გაერთიანებაში მომუშავეთა 300 ოჯახი ცხოვრობს კეთილმოწყობილ ბინებში. მეთორმეტე ხუთწლედში განზრახული აქვთ ააშენონ 6 საცხოვრებელი სახლი, რითაც მთლიანად გადაწყდება მშრომელთა ბინით უზრუნველყოფის საკითხი.

გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისათვის 1984 წელს ამოქმედდა 208-ადგილიანი ბაზა ბაკურიანში. წოდორეთში წლის ყოველი დროისათვის მოქმედებს საოჯახო დასასვენებელი ბაზა.

კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის საქმეში. სოფელ ნაფარეულში საწარმოს აქვს საღორე მეურნეობა, წიწილების ინკუბატორი. უახლოეს ხანში სოფელ ხაშმში მოეწყობა თევზის სატბორე მეურნეობა, რომლის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 349 ტონა თევზი იქნება.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ მშრომელები ყველაფერს ღონობენ მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა უთუო და დაგაჭარბებით შესრულებისათვის, საწარმოო და სოციალური საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

**ლ. ქინქლაძე.**

# ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲖᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲑᲡ!

### 7-8 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲚ-ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

**ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ** კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში ბალ-ვენახების დამუშავების, სარეველებისა და მავნებელ-დაავადებათა ლიკვიდაციის, ვაზის ფუჩრნის, აგრეთვე სხვა ოპერაციების შესრულებისა და მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ბრძანებით 7-8 ივნისს გაიმართება ბალ-ვენახების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლის მაქსიმალური შენარჩუნებისათვის ბრძოლის მიმდინარეობის დათვალიერების მეორე ეტაპი.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტებმა, რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებებმა და რესპუბლიკურმა გაერთიანებებმა უნდა განახორციელონ სთანადო ღონისძიებანი დათვალიერების ორგანიზებული მოწყობისათვის.

დამთვალიერებელმა კომისიებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ თითოეული მეურნეობის, აგროუნებლისა და ბრიგადის ბალ-ვენახების მდგომარეობა, იმ მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, აგროგანყოფილებების ხელმძღვანელებისა და ბრიგადირების საკითხები, რომლებმაც ვერ წარმართეს მუშაობა ბალ-ვენახებში, ფილოქსერაგამძლე ვაზის საფიდეებში და ნამყენი ვაზის და ხეხილის სახერგეებში, განსახილველად და ზომების მისაღებად გადასცენ პარტიულ და საბჭოთა ორგანებს.

მოწინავე და ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ მოხსენებითი ბარათი საბოლოო შედეგების მასალებით 10 ივნისამდე უნდა წარადგინონ რესპუბლიკის სახაგრომრეწვში.



# ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

**ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ** თიბვა დაიწყო ბოლნისის რაიონის მეურნეობებში. აქ ბალახი წელამდე სწვდება კაცს — სასაკეთო გავლენა მოახდინეს წვიმებმა. ერთ ჰექტარ მრავალწლოვან ნათესებში საშუალოდ ორას ცენტნერზე მეტ მწვანე მასას იღებენ, ამინდი არ ანებივრებს მთიბავებს. მაგრამ ისინი მაქსიმალურად იყენებენ ყოველ დარიან დღეს, საათს. პ

# მზადდება მეტი მოხმარების საქონელი

**Ჯ. ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ** მართვის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების შექმნიდან წელიწადზე მეტი გავიდა. მისი ჩამოყალიბების მიზანი იმთავითვე გამოიკვეთა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანი თავისთავად გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის ძალთა კონცენტრაციას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ხელსაყრელის ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლებას, დარგთშორისი კავშირების მაქსიმალურ კოორდინაციას, სამეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებას და ა. შ. ერთი სიტყვით, რეგიონალური და დარგობრივი პრობლემების ურთიერთშეწყმასა და საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარებულ მართვას.

როგორ ართმევს თავს ამ მოვალეობის შესრულებას გაერთიანება?

სწორედ ამაზე ვესაუბრეთ ქუთაისის სახლო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსს ზ. ქაჯაიას.

ჩვენს გაერთიანებასთან, — გვითხრა მან, — შექმნილია 10 განყოფილება და ერთი სექტორი, რომლთა შეშეებობთ ვხელმძღვანელობთ და ვმართავთ ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს მრეწველობაში, შენებლობაში, ტრანსპორტზე და სხვა დარგებში.

გაერთიანება საგგმო-კრებსითი განყოფილების მეშვეობით ყველა დარგის საწარმოდან იღებს მონაცემებს თვიურ, კვარტალურ და წლიურ დავალებათა შესახებ და ამზადებს სათანადო წინადადებებს. ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში შევიმუშავეთ 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები და განსახილველად წარვუდგინეთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. მიმდინარე წლის გეგმებმა კანონის ძალა მიიღეს შარშან დეკემბერში გამართულ საქალაქო საბჭოს სესიაზე. ეკონომიკის ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალთან ერთად შემუშავდა ქალაქის 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პეროიდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც მოიწონა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXXV კონფერენციამ.

გაერთიანებამ ყოველდღიური კონტროლი დაუწესა ძირითად მაჩვენებელთა გეგმების შესრულების მიმდინარეობას. ოპერატიულად მართავენ ვაგონებისა და კონტეინერების გამოყენების საკითხებს. შარშან, შარშანწინდელთან შედარებით, ვაგონების მიწოდების გეგმა 114-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს მოცდენები 17721 ვაგონსაათით, ხოლო ჯარიმების თანხა 23393 მანეთით შემცირდა.

გაერთიანება ოპერატიულად ხელმძღვანელობს შიდა საქალაქო დარგთშორის კოოპერირებას. ამჟამად ურთიერთკოოპერირებს 24 სამრეწველო საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად ერთმანეთს 42 მილიონი მანეთის 1154 სახეობის პროდუქციას აწვდიან. შეიძლება თქვათ, რომ ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული სიძნელე არ წარმოქმნილა.

სკკპ XXVII ყრილობამ დაგვისახა ამოცანა: განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის დარგების რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისა და ხარისხის მართვის განყოფილებამ ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოაწყო საწარმო სიმძლავრეებისა და „ვიწრო ადგილების“ პასპორტიზაცია.

გაერთიანების უშუალო ხელმძღვანელობით სახლთსაშენებელი კომბინატისათვის დამზადდა დანადგარი, რომლის გამოყენებით საკედლე პანელებზე მთლიანად გამოირიცხა ხელით შელესვის სამშუშაოები. ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან ერთად სიახლე 500 ათას მანეთს ზოგავს წელიწადში. ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთება მოუწევთ მომავალში, რადგან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქციის ხარისხისა და გაერთიანების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

1985 წლის დამდეგიდან სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოთა რიცხვი ხუთით გაიზარდა. ქალაქში აითვისეს დამზადების ტექნოლოგიის თვალსაზრისით რთული სახალხო მოხმარების საგნები. მათ შორის ავტომანქანა „ვიგულის“ მაყუჩი (ელექტრომექანიკური ქარხანა), ხარისხიანი მინის ელექტროჰაიები (ადგილობრივი მრეწველობის საწარმო) და სხვა. მარტო შარშან გაერთიანებასთან თანამშრომლობით ათვისებულია 35 სახეობის ახალი ნაწარმი.

მომხმარებელი ამჯერად ითხოვს მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ისეთი სამრეწველო პოტენციალის მქონე ქალაქში, როგორიც ქუთაისია, ამ საქმეში რაიმე ძირეულ გარდატეხაზე ლაპარაკი ნაადრევია. ფაქტია, რომ ჯერჯერობით ქალაქის სამრეწველო საწარმოების 23 პროცენტი არ უშვებს ფართო მოხმარების საქონელს.

კვლავ მწვავე პრობლემად რჩება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. არსებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებია განსახორციელებელი პროდუქციის რეკლამის, შეფუთვისა და მარკირების გაუმჯობესებისათვის.

ბევრი გაკეთდა საწარმოო ნარჩენების გამოყენების გასადიდებლად, მაგრამ ძირეულ გარდატეხას მაინც ვერ დავიკვეხნით. განსაკუთრებით საჭიროა „ახლებურად აზროვნება“ და ეს ეწინააღმეფოს ყოველისა უნდა გაითვალისწინონ იმ სამეურნეო ხელმძღვანელებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ამაღლდნენ თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე და მეორეული რესურსების გამოყენების აუცილებლობას რატომღაც მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევენ.

სკკპ XXVII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზი გაესვა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის სრულყოფის საკითხს. შარშან მარტში გაერთიანებამ დაამთავრა ნედლეულის, ზენორმატიული ნაშთების, მასალებისა და მზა პროდუქციის, აგრეთვე დაუდგმელი მანქანა-დანადგარების პასპორტიზაცია. განისაზღვრა მათი სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის გზები და ამოცანები. ამისათვის გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება. ბრუნვაში ჩაერთო 450 ათასი მანეთის ზენორმატიული ნაშთები და სხვა მატერიალური ფასეულობანი. საწარმოებთან კომერციული თანამშრომლობის შედეგად გაერთიანების სანანკო ანგარიშზე 20 ათას მანეთამდე თანხა აღმოჩნდა. მიღწეული ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. თითქმის ყველა საწარმოში, ყველა სამშენებლო მოედანზე ყოველდღიურ საქმიანობაში უყაირათობისა და მფლანგველობის უამრავ ფაქტებს ვაწყდებით. ძირშივე უნდა აღიკვეთოს ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უანგარიშოდ ხარჯვისა და მანქანა-დანადგარების უქმად ყოფნის ფაქტები.

გაერთიანების უშუალო ხელმძღვანელობით ქალაქში შარშან ამოქმედდა ნარჩენების თერმული გადამუშავების საამქრო, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე კვების მრეწველობის საწარმოებიდან, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებიდან მიღებული ნედლეულით ყოველდღიურად 2,5-3 ტონა ყუათიან საკვებს ამზადებს პირუტყვისათვის. იგი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებს ეგზავნებათ. დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალი სასათბურე მეურნეობების მოწყობასა და მეფუტკრეობის განვითარებას. სასათბურე მეურნეობები შენდება ლითოფონის ქარხანაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასა და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

შარშანდელი შედეგებით გაერთიანების ანგარიშზე გატარებულია 296 ათასი მანეთის ეკონომიკური სტიმულირების ფონდები. მათ შორის მატერიალური წახალისების ფონდი — 140 ათასი მანეთის, წარმოების განვითარების ფონდი — 140,4 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს სახსრები გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაგის, ახალ ნაკეთობათა ათვისებისა და საამისოდ არსებული უბნებისა და საამქროების გაფართოებისათვის, საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობათა კაპიტალური შეკეთებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისებისათვის. სწორედ ამ სახსრებით განახლდა შარშან ხარისხის სახლის ექსპოზიცია. ამავე სახსრებით ქალაქისათვის ორი ტროლეიბუსი შეიძინეს. უბრალოდ რომ ვთქვათ, გაერთიანება პარტნიორული თანამშრომლობისათვის ქალაქის სამრეწველო საწარმოებიდან მოიზიდავს გარკვეულ თანხას, რომელსაც ისევ ქალაქს, მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მოახმარს.

დარგთშორისი ტერიტორიული გაერთიანების მოქმედების სფერო დღითი დღე ფართოვდება.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.





## ლაბორანტის მოწმობა — ატესტატთან ერთად

**თბილისის № 1 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ამჟერიდან ატესტატთან ერთად მიიღებენ გამოთვლითი ტექნიკის ლაბორანტის მოწმობას. ეს შესაძლებელი გახდა დისპლეის კლასებში სწავლის შედეგად, სადაც უფროსკლასელები შეფების — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ნ. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერების დახმარებით სწავლობენ გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამების საფუძვლებს.**

**სურათებზე: ჩაუფიქრდა ელექტრონული-გამომთვლელი მანქანის მიერ მიცემული ამოცანის ამოხსნას მე-10 კლასის მოსწავლე ნინო ხარაძე; გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამანქანო დარბაზში მეცადინეობისას.**

**შ. აიგაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## ᲤᲐᲠᲔᲑᲘ ᲨᲘᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲜᲔᲑ

### ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

**ᲣᲐᲖᲒᲔᲗᲘᲡ** რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნეობის სახელგანთქმული მეცხვარე გივი სეთურიძე კვლავ გაუდგა გზას. თავისი ფარით იგი პირველი გამოეშურა საზაფხულო საძოვრებისაკენ. გ. სეთურიძეს ზამთრის საძოვრებზე ასევე პირველმა დამთავრა ცხვრის პარსვა და მოიპოვა თეთრი ქარავნების ფლაგმანის სპპატიო უფლება.

იგი შთამომავლობით მეცხვარეა. მწყემსები იყვნენ მისი მამა-პაპანი. ოსტატობით იგი წინაპრებს არ ჩამოუვარდება: ყოველ ზამთარს გ. სეთურიძე რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს. გამონაკლისი არც წლევანდელი გამოზამთრება იყო. ყოველ ასერიგზე 90 ბატკანი მიიღო.

— წლეულს ყიზლარის საძოვრებზე გამოიზამთრა ნახევარ მილიონზე მეტმა ცხვარმა, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს გაერთიანების თავმჯდომარემ დ. კობაიძემ, — მშობლიური მთებისაკენ კი 130 ათასი სულით მეტი გამოემგზავრება.

ფარების გადმორეკვის მთელ 600-კილომეტრიან გზაზე მოწყობილია პირუტყვის სადგომები, წყალმკირე ნოდაის ველებში გაბურღილია არტეზიული ჭები. გადარეკვის ტრასაზე მოქმედებს მოძრავი ვეტსამკურნალოები, ავტომაგაზიები, მეცხოველეებს ემსახურებიან ექიმები. მეწყერებისა და წყალდიდობების დროს მათ დასახმარებლად მზად არიან სპეციალური სარემონტო სამსახურები.





## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲘᲠᲕᲔᲑᲡ

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ გაზეთ „კომუნისტის“ 1985 წლის 24 იანვრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც ჭიათურელ მაღაროელთა მისამართით მრავალი საყურადღებო შენიშვნა და წინადადებაა წამოყენებული. იმის დასაზუსტებლად, თუ რა გაკეთდა გაზეთის „კრიტიკული გამოსვლის შემდეგ და როგორ შედეგებს მიაღწია ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის საქმეში ლენინის ორდენოსანმა „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა, ვესაუბრეთ გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოადგილეს ალექსანდრე ცინცაძეს, რომელიც ხელმძღვანელობს და ტექნიკურ კონტროლს უწევს მადნის ღია წესით დამუშავების შედეგად დაზიანებული მიწების აღდგენას.

აი რა გვიამბო მან:

— წიაღისეულის ღია წესით მოპოვება უდიდესი რენტაბელობის გამო ყველგან ინერგება, სადაც გეოლოგიური პირობები იძლევა საშუალებას. მარტო ჭიათურის მანგანუმის საბადოს ამ პროგრესულმა ტექნოლოგიამ ასი მილიონი მანეთი დაუზოგა. მაგრამ ამ დადებით მხარესთან ერთად მას არასასურველი შედეგებიც ახლავს. კერძოდ, ირღვევა და მწყობრიდან გამოდის სხვადასხვა სავარგულების „დიდი ფართობები, რაც გარემოს გაჭუჭყიანების ერთ-ერთი წყაროა. აღდგენითი სამუშაოებისათვის საწარმოო გაერთიანებაში შექმნილია სპეციალური განყოფილება და რეკულტივაციის უბანი. დაზიანებული მიწების აღდგენის სამუშაოებზე ყოველწლიურად საშუალოდ 500.000 მანეთზე მეტი იხარჯება. იზრდება აღდგენილი მიწების მოცულობაც. 1980-1985 წლებში დაზიანებული მიწების აღდგენის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, 150 ჰექტარის ნაცვლად აღვადგინეთ და მიწის პირველ პატრონს დაუბრუნეთ 189,6 ჰექტარი. აღდგენილი მიწების დიდი ნაწილი გამოყენებულია სამთო სამუშაოების ზონაში. მცხოვრებთა დასასახლებლად, ზოგი კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეემატა.

საწარმოო გაერთიანება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად რეკულტივირებულ ფართობებზე აშენებს კეთილმოწყობილ დასახლებულ უბნებს, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელ სახლებს დამხმარე ნაგებობებით, გათბობითა და კანალიზაციით. დიდი დასახლებული უბნებისათვის გათვალისწინებულია აგრეთვე მომსახურების სფეროს ობიექტების, საბავშვო ბაღის, სკოლისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ნაგებობათა მშენებლობაც.

წელს სოფელ შუქრუთსა და დარკვეთში რეკულტივირებულ ფართობებზე დამთავრდება ორი ახალი უბნის მშენებლობა, აქვე 50 საცხოვრებელი სახლი უსასყიდოდ გადაეცემა სამთო სამუშაოების ზონაში მოხვედრილ მოსახლეობას. სოფელ თაბაგრებში, ზოდსა და პერევისაში დაიწყება 3 ახალი დასახლებული უბნის მშენებლობა, რასაც წელს 900 ათასი მანეთი მოხმარდება.

ახალი რეზერვების ამოქმედების წყალობით შარშან განხორციელდა დაზიანებული მიწების აღდგენის ღონისძიებანი. ზედაპირის მოშანდაკების სამუშაოები 36 ჰექტარის ნაცვლად 38 ჰექტარზე შეასრულეთ. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გავამდიდრეთ 45 ჰექტარზე, გეგმა კი 35 ჰექტარს ითვალისწინებდა. საგგმოს გადამეტებით დავთესეთ ერთწლოვანი ბალახები, გავაშენეთ ტყე, ქარსაფარი ზოლი და სხვა. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა დასასახლებელი ადგილების კეთილმოწყობისათვის გაბაძეებისა და ჩხეიძეების, სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს № 66 უბნებში. წელსვე დამთავრდება აღდგენითი სამუშაოები სოფელ რგანში.

სამუშაოთა სწორად წარმართვაში მეთოდიკურ დახმარებას გაწევენ რესპუბლიკის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ისინი პერიოდულად სწავლობენ აოსადგენ ფართობებს აგრონიადაგური თვალსაზრისით.

ამასთან წავაწყდით სიძნელეებსაც. სამთო სამუშაოების ნორმალურად წარმოებისათვის საჭირო ფართობების გამოყოფა გაგვიძნელდა. მცირე ფართობზე მუშაობის დროს შეუძლებელია სამუშაოები ისე შევასრულოთ, რომ ნაკვეთის ერთ ნაწილში საექსლოატაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ გამოთავისუფლებულ არეში მოხერხდეს ტოქსიკური გრუნტის ქანების ჩაყრა, შესრულდეს ნიადაგის მოშანდაკების სამუშაოები და სხვ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის ივლისში მიიღო დადგენილება სამთო სამუშაოების წარმოებისა და მოსახლეობის დასასახლებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, რომაც საგრძნობლად გაუმჯობესა სამუშაო პირობები და შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვანი უკუგება მიგვეღო.

კორესპონდენციაში აგრეთვე დასმული იყო საკითხი, რომ საჭიროა გადახსნილი ქანების კომპლექსური გამოყენება. „კითხვაზე, თუ რას აპირებენ „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელები კვარცის სილების კომპლექსური გამოყენებისათვის, ამჟამ „გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა არჩილ ხობუამ თქვა: სადღეისოდ კვარცის სილა გადახსნილ მასასთან ერთად თავსდება ქანსაყარში და როგორც არატოქსიკურს იყენებენ დაზიანებული მიწების აღსადგენად. მალე მისი უფრო რაციონალური გამოყენების საკითხის მოგვარება შესაძლებელი იქნება მაღაროებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პროექტის განხორციელების შედეგად. ეს შესაძლებელს გახდის გადახსნილი კვარცის სილების გამდიდრებას, რათა იგი სახალხო მეურნეობაში უკეთ გამოვიყენოთ. მანვე აღნიშნა, რომ მაღაროთსამმართველოებში ზოგჯერ სრულყოფილად არ ხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. არის შემთხვევები, როცა ტოქსიკური გრუნტის ქანები ზედაპირზე იყრება და აღდგენილი ფართობები გამეორებით ზიანდება. ეს საკითხი სწრაფად უნდა მოგვარდეს, ამისათვის კი საჭიროა საწარმოო და სამშენებლო დისციპლინის განმტკიცება და ახალი რეზერვების ამოქმედება.

**ს. კუპატაძე,**
„კომუნისტის“ კორ.

## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ● ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

### ᲨᲕᲠᲘᲜᲒᲘᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲣ

ჩვენი გაზეთის 11 მარტის ნომერში დაიბეჭდა კოჯორში გამართული სასოფლო ყრილობის ანგარიში, რომელშიც სხვა ფაქტებთან ერთად მხილებული იყო თბილისის ფსიქონეკროლოგიური დისპანსერის კოჯრის ფილიალში არსებული ნაკლოვანებანი. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი გ. აბესაძე რედაქციას წერს:

**სამმართველომ ხელახლა შეამოწმა აღნიშნული სტაციონარი. გამოვლინდა სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები, დადასტურდა ისიც, რომ ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარმა ექიმმა შ. ჭკუასელმა არ გამოიჩინა პრინციპულობა, მკაცრად არ შეაფასა კონკრეტული ფაქტი, რომელსაც მოპყვა ავადმყოფთა უკმაყოფილება და დებში, მიმართა თავის მართლების მცდარ პრაქტიკას, ცდილობდა ყველაფერი კოჯრის სადაბო საბჭოს აღმასკომისათვის გადაებრალებინა.**

**ისიც აღსანიშნავია, რომ 1984-85 წლებში თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველომ სამჯერ განახილა ქალაქის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში მომხდარი სხვადასხვა დარღვევის ფაქტები და მთავარი ექიმი დასაჯა მკაცრი დისციპლინური წესით. დისპანსერში შექმნილი უკონტროლობის და უპასუხისმგებლობის გამბატაულება იყო ისიც, რომ წელს თებერვალში დაიკარგა რეცეპტებისათვის განკუთვნილი სპეციალური ბეჭედი, რითაც შეიქმნა ზოგიერთი ძლიერმოქმედი წამლის არადანიშნულებისამებრ გაცემის საშიშროება.**

**სამმართველოსთან არსებულ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომისიამ იმსჯელა დისპანსერში შექმნილი მდგომარეობაზე და მთავარი ექიმი შ. ჭკუასელი გაათავისუფლა თანამდებობიდან, დასახა სხვა პრაქტიკული ღონისძიებანი კოჯრის სტაციონარში მდგომარეობის გამოსწორებისათვის.**

### ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲔᲛᲐᲢᲐ

სასურსათო პროდუქტების ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „მხოლოდ თვის ბოლოს“. გაზეთის სიგნალის გამო ორმა რესპუბლიკურმა ორგანომ იმსჯელა. შემდეგ კი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. წილოსანი რედაქციას ატყობინებს:

**საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომიტეტის მეცხოველეობის პროდუქტების, წარმოებისა და გადამუშავების მთავარი საწარმოოს მიერ მოწყობილ თათბირზე სპეციალურად განხილეს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „მხოლოდ თვის ბოლოს“. თათბირზე აღინიშნა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები რეალურია. გაირკვა, რომ „ქაქრიკარაქვაჭრობის“ რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელობა, მხრივ თბილისის სახითუმო გასაღების ბაზის საქმიანობისადმი ზედამხედველობას ვერ ახორციელებდა. დადგა „ქაქრიკარაქვაჭრობის“ ხელმძღვანელობის მხრივ მომმართველობაში ნერვიოზულ ხარვეზებს. თათბირის გადაწყვეტილებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა სოხუმის განაწილება-რეალიზაციაში შექმნილი მდგომარეობა და კიდევ ერთხელ დადასტურდა გაზეთში მოყვანილი ფაქტების სისწორე. ამასთან ერთად გამოვლენილ იქნა სხვა სახის უხეში დარღვევები — ფონდების არათანაბაბარზომიერად დასაქონლება, ფასების დარღვევა-დამახინჯებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვ.**

**ამ ნაკლოვანებებზე იმსჯელა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, რომლის გადაწყვეტილებითაც უხეში დარღვევებისა და საქმისადმი უყურადღებობისათვის „საქმრაკარაქვაჭრობის“ რესპუბლიკური კანტორის თბილისის სახითუმო გასაღების ბაზის დირექტორს ბ. მესხს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, გარდა ამისა, „საქმრაკარაქვაჭრობის“ რესპუბლიკურმა კანტორამ ამ საქმეში დამნაშავე პირები ადმინისტრაციული წესით სათანადოდ დასაჯა.**

### ᲛᲬᲕᲘᲗᲐᲮᲝᲠᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲩᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ

„მექთახორობა: შეწყალების უფლების გარეშე“. ასეთი სათაური ჰქონდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის სხდომის ანგარიშს, რომელიც ლაპარაკი იყო სიღნაღის რაიონში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და რედაქციას შემდეგი აცნობა:

**ადგილზე შემოწმებით გაზეთში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.**

**საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს მუქთახორა გ. მინდიაშვილის გამოვლინება და მისი საზოგადოებრივად სახარგებლო შრომაში ჩაბმა, დისციპლინური წესით დაისაჯნენ სიღნაღის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები ბ. ბეგიაშვილი, ვ. სოზაშვილი და თ. ყოჩიაშვილი.**

**დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი რაიონში მუქთახორობის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.**

# ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔ ᲛᲘᲬᲐ? ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲙᲘᲓᲔᲪ!

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ

ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

**ᲛᲬᲘᲜᲔ**

**ᲐᲚᲐᲓᲒᲘᲜᲔ**

**ᲙᲘᲓᲔᲪ!**

### ᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ

**ᲐᲛ** თემის შესწავლა მიზანშეწონილია ასეთი სანიმუშო გეგმის მიხედვით ავაგოთ:

**1. დემოკრატიზმი, მშრომელთა ცოცხალი შემოქმედება ახალი წყობილების განვითარების მთავარი ძალაა.**

**2. ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების არსი, ძირითადი ფორმები და გზები. საკრიზისოობის გაფართოება დემოკრატიზმის განუყოფელი ნიშანია.**

**3. სოციალისტური დემოკრატიზმი და მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებანი, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.**

* * *

**ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡ** შინაარსის გააზრებისას, თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების საკითხები სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში განხილულია არა იზოლირებულად, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საერთო კურსთან მჭიდრო კავშირით, როგორც მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი და მისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობა.

**მივაღწიოთ დაჩქარებას,** თქვა ყრილობის დახურვისას მ. ს. გორბაჩოვმა, ნიშნავს გავაღრმავოთ დემოკრატია, განუხრელად განვავითაროთ ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა, გავაფართოოთ საკროობა პარტიისა და საზოგადოების ცხოვრებაში და ინიციატივისა და თვითმოქმედების სარბიელი მივცეთ თითოეულ მშრომელსა და თითოეულ კოლექტივს.

ჩვენი საზოგადოებისათვის მეტი დინამიზმის მისანიჭებლად დემოკრატიზაციის მნიშვნელობის გაგებაში პარტია ლენინური მიდგომით ხელმძღვანელობს. ვ. ი. ლენინი დემოკრატიზმში, მშრომელთა ცოცხალ შემოქმედებაში ხედავდა ახალი წყობილების განვითარების მთავარ ძალას.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ხატოვნად არის ნათქვამი, რომ დემოკრატია ის ჯანსაღი და სუფთა ჰაერია, რომელიც აუცილებელია სოციალისტური საზოგადოებრივი ორგანიზმის სისხლსავსე ცხოვრებისათვის. შემდეგ ხაზგასმულია: აი რატომ არის, რომ, როცა ვამბობთ, რომ სოციალიზმის მძლავრი პოტენციალი ჩვენში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული, მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ **საზოგადოების განვითარების დაჩქარება წარმოუდგენელი და შეუძლებელია სოციალისტური დემოკრატიის, ყველა მისი მხარისა და გამოვლინების შემდგომი განვითარების გარეშე.** აქედან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიზაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პოლიტიკური ფაქტორია.

* * *

**ᲞᲐᲠᲢᲘᲐ,** მისი ცენტრალური კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობენ სოციალისტური წყობილების დემოკრატიზმის გასაღრმავებლად. საამისო ღონისძიებებს განეკუთვნება ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის გაქტიურება და საჯაროობის გაძლიერება. მაგრამ ის, რაც ამ მხრივ გაკეთდა და აკეთდება, გუშინდელი დღის საწყაოთი კი არ უნდა ავწყოთ, არამედ ახალი ამოცანების მასშტაბით და სირთულით.

პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში განსახილველი სფეროს ამოცანები ასეა განსაზღვრული: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აზრით, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული გეზია სრულყოთ საბჭოთა დემოკრატია, უფრო სრულად განვახორციელოთ ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში მშრომელების, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების აქტიური და ქმედითი მონაწილეობის საფუძველზე. **ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის** შესახებ დებულება, როგორც ცნობილია, სკკპ პროგრამის წინა რედაქციაში არ ყოფილა. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებაა, რომელმაც გამდიდრა მისი ახალი რედაქციის შინაარსი. მისი აზრის სწორად გაგების ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული კომუნისტისათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია თვითმმართველობის გამოშიგნული, ხშირად ცალმხრივი განმარტება. ზოგიერთ მათგანში თვითმმართველობა დაკავშირებულია მარტოოდენ სოციალისტური საზოგადოების ცალკეული ჯერედების ცხოველმყოფელობასთან (საწარმოო ანტერიტორიული); ზოგან მას უპირისპირებენ სახელმწიფო მმართველობას, ზოგან — თვითმმართველობის პრინციპების პრაქტიკული განხორციელება გადადებულია კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლამდე.

ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის ჭეშმარიტი აზრის გაგებაში საჭირო ნათელია შეტანილი მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის პრობლემებზე გამართულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაიკითხა. აქ აღნიშნულია, რომ თვითმმართველობის ღრმა იდეა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებს ეკუთვნით. მარქსს, ენგელსსა და ლენინს მშრომელთა თვითმმართველობაზე გადასვლა ესმოდათ როგორც პროლეტარიატის პრაქტიკული ამოცანა ხელისუფლების სათავეში მისი მო

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვამრავლოთ მშვიდობისა და პროგრესის ძალები

**თბილისში მუშაობა დაამთავრა ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალურმა კონფერენციამ განიარაღების მსოფლიო კამპანიის ფარგლებში.**

**კონფერენციის** მუშაობის ბოლო დღეს შეჯამეს მის სამ საუბარ ჯგუფში გამართული დისკუსიების შედეგები.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს პოლიტიკური საკითხთა და საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლმა კარლოს კასაპმა — იმ ჯგუფის ხელმძღვანელმა, რომელიც იხილავდა თემას „მშვიდობის საერთაშორისო წელი: აღზრდა მშვიდობის სულისკვეთებისა — თქვა, რომ დისკუსიის მონაწილეებმა გამოიტანეს ერთობლივი დასკვნა: საჭიროა დიდი საგანმანათლებლო მუშაობა მშვიდობისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის მიზნებისა და ამოცანების განსამარტავად. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ხალხებმა. ეს შეაძლიათ და კიდეც უნდა შეასრულონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ახალგაზრდულმა და ქალთა მოძრაობებმა, ფილოგიერმა ორგანიზაციებმა.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მართალი ინფორმაციის გავრცელება სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ცხოვრების შესახებ, გაუცხოებისა და შიშის ბარიერების, „მოწინააღმდეგის სახის“ ყალბი სტერეოტიპების აღმოფხვრა. ეს მუშაობა უფროსებსა სასწავლებელში და, უწინარეს ყოვლისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა წარიმართოს. დღევანდელმა ბავშვებმა ხომ ხვალ უნდა მართონ ეროვნული სახელმწიფოები, მსოფლიო. ამასთან დაკავშირებით დიდი შეფასება მისცეს ხელ კავშირში მშვიდობის გაკვეთილების მოწყობის ტრადიციას.

სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა ერთსულოვნად წამოაყენეს წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეას უახლოეს სესიაზე გადახედოს მშვიდობის საერთაშორისო წლის გაგრძელების, 2000 წლამდე მშვიდობის გეგმის მიღების საკითხი.

მეორე სამუშაო ჯგუფში განიხილეს ბირთვული შეიარაღების დარგში განიარაღების პრობლემები. ჯგუფის ხელმძღვანელმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის სპეციალურმა მრჩეველმა პრვოსლავ დავინიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირთვული განიარაღების პრობლემებისადმი მიდგომაში არსებულ უთანხმოებათა მიუხედავად, მსჯელობის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ მსოფლიოს კატასტროფის რეალური საფრთხე ექმნება. ამ სიტუაციაში განიარაღების საკითხებზე მოძიებული არასამთავრობო ორგანიზაციებს, კვლევითს ინსტიტუტებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, როგორიც მიზნად ისახავს სახელმწიფო დონის მოლაპარაკებაზე ბირთვული იარაღის შემცირებისა და ლიკვიდაციის პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში განიარაღების პრობლემათა განხილვა მესამე სამუშაო ჯგუფში მჭიდროდ დაუკავშირდა დისკუსიას კონფერენციის პლენარულ სხდომებზე. ამ ჯგუფის ხელმძღვანელმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების საკითხთა დეპარტამენტის პოლიტიკურმა თანამშრომელმა ანჯელა კნიპენბერგმა თქვა, რომ კამათის მონაწილეები ხელმძღვანელობდნენ ერთი მთავარი დებულებით: იარაღით გადატვირთულ დღევანდელ მსოფლიოში არ შეიძლება იყოს უშიშროება ერთი ქვეყნისათვის. უშიშროება შეიძლება მხოლოდ საყოველთაო იყოს.

კონფერენციის დახურვაზე ბამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოადგილე, განიარაღების საკითხთა დეპარტამენტის მეთაური იან მარტენსონი.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენციები განიარაღების მსოფლიო კამპანიის ფარგლებში, — თქვა მან, — ეს არის აზრთა კონსტრუქციული გაზიარების, დიალოგის გაფართოებისა და ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესების საშუალება. ამ კონფერენციების მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ იმისათვის, რომ ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობას გააცნონ გამალებული შეიარაღების საშიშროება და მისი დამღუპველი შედეგები.

ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლანდელი თბილისის კონფერენციამ წარმატებით მიაღწია თავის მიზნებს. მომხსენებლებსა და დისკუსიის მონაწილეებს გულახდილი დიალოგი ჰქონდათ გულითადობის ატმოსფეროში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ იყო აზრთა სხვადასხვაობა. ეს მოწმობს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ განიარაღების გზებზე. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შეწონასწორებული და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება.

ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე გამალებულ შეიარაღებას ხმარდება 900 მილიარდი დოლარი. ეს იმდენივეა, რამდენსაც შეადგენს განვითარებადი ქვეყნების სავალო დავალიანება. გამალებული შეიარაღების ეკონომიკური შედეგები — შიმშილი, სიღატაკე და ადამყოფობა კვლავ რჩება. ამიტომ კონფერენციის დღის წესრიგში ესოდენ დიდი ყურადღება დაეთმო გამალებული შეიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირის საკითხებს.

პლანეტის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის ერთგულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ნდობის განმტკიცებას, პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი მექანიზმია კაცობრიობის ყველა აქტუალური პრობლემის გადაჭრაში გაგებისა და თანხმობის მისაღწევად.

— კონფერენციას რომ ვხუროავ, — თქვა იან მარტენსონმა, — მინდა ჩვენი დიდი და გულწრფელი მადლიერება მოვახსენო საბჭოთა კავშირს, საბჭოთა საქართველოს, მშვენიერი და ძველი თბილისის მცხოვრებლებს გულითადი მიღებისა და მასპინძლობისათვის. მათმა მხარდაჭერამ ბევრად შეუწყო ხელი ჩვენს ეფექტიან მუშაობას. დიდად ვაფასებთ კონფერენციისადმი საქართველოს მთავრობის აყურადღებას. მიიდა აგრეთვე კონფერენციის მოწყობაში დახმარებისათვის მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, მთის ქართველ კოლეგებს.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშროების საბჭოში

## დაგმეს ბანდიტური თავდასხმა

**ნიუ-იორკი. სენეგალის თხოვნით სასწრაფოდ მოწვეულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დიწყო ბოტსვანაზე, ზამბიასა და ზიმბაბვეზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბანდიტური თავდასხმის საკითხის განხილვა.**

როგორც დისკუსიის მონაწილეთა პირველმა გამოსულმა გვიჩვენა, საერთაშორისო ბაერთიანებამ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა არა მარტო უშუალო აგრესორები, არამედ მათი ოკეანსგადმელი მეუფრეები და მფარველები, რომელთა სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთათვის მიბაძვის ნიმუშია.

ალარტიდის რეჟიმის დასაცაველ მფარველთა პასუხისმგებლობაზე ილაპარაკა ჯ. ნგომ, ზამბიის — იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, რომელმაც ბანდიტური აგრესია განიცადა. ჩვენ ბევრჯერ გვსმენია მსჯელობა „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკის „ღირსებათა“ შესახებ, თქვა მან. ჩვენ ვხედავთ რას იწვევს ეს პოლიტიკა — უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების, მამაკაცების ხოცვა-ჟლეტას. არაადამიანური რეჟიმის დანაშაულისათვის „პასუხი უნდა აგონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მეგობრებმა, მათ შორის უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმაც.

დისკუსიის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უშიშროების საბჭომ უნდა განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრას საფრთხე მშვიდობისა და უშიშროებისადმი, რომელიც შეიქმნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიის შედეგად, დაიწესოს მის წინააღმდეგ ყოველსმომცველი სავალდებულო სანქციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

● არგენტინა

## მთავრობის გადაწყვეტილება

### გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან

**ბუენოს-აირესი. არგენტინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე.**

როგორც არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაშია ნათქვამი, ამის საბაბი გახდა პრეტორიის მხედრიონის აგრესია მეზობელი აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ. არგენტინის ხელისუფლებამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესია შეაფასეს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ყველა არსებული საერთაშორისო ნორმის დარღვევა. არგენტინაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ყველა წევრს წინადადება მისცეს დასტოვონ ქვეყანა 31 მაისამდე.

„არგენტინის მთავრობასა და ხალხს, — აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხისადმი მეგობრული გრძნობა ამოძრავებთ, უსურვებენ მას უმოკლეს დროში თავისუფლებისა და სამართლიანობის მიღწევას, რაც ნამდვილი მშვიდობის ერთადერთი გარანტიაა“.

● ანგოლა

## აგრესიული აქტი

**ლუანდა. რასისტული სამხრეთ აფრიკის არმიის სულ ცოტა ექვსი ბატალიონი შეიჭრა ანგოლაში და 100 კილომეტრით წაიწია ქვეყნის სიღრმეში, იუწყება ანგოლის საინფორმაციო სააგენტო.** ეს აქცია, ხაზს უსვამს სააგენტო, „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ აპარტეიდის რეჟიმის ფართო მასშტაბის აგრესიის შემადგენელი ნაწილია. იგი მოჰპყრა ბოსტვანის, ზამბიისა და ზიმბაბვეს დედაქალაქებზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბანდიტურ თავდასხმას.

ემყარებიან რა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის, პრეტორიის ხელისუფალნი ახორციელებენ სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ, აღნიშნავს საინფორმაციო სააგენტო.

სააგენტო აღნიშნავს, რომ საჭიროა საზოგადოება განხორციელდეს ყოვლისმომცველი აუცილებელი სანქციები რასისტთა წინააღმდეგ. მხოლოდ ასე შეიძლება აიძულონ სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი ხელი აიღონ ჰეგემონიზმისა და სახელმწიფო ტერორიზმის ყაჩაღური პოლიტიკის განხორციელებაზე.

„ადამიანმა დაკარგა განკვირვება და დასწრების უნარი. საბოლოო ანგარიშით, იგი დედამიწას მოსპობს“ — დიდი ჰუმანისტის ალბერტ შვაიცერის ეს მწარე პროგნოზი არცთუ მთლად პესიმისტური ფანტაზიად ჯვეველნება მასობრივი მოსპობის იარაღის სრულყოფის ფონზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის არსებობისათვის რაც უფრო საშიშ ფორმებს იღებს ასეთი იარაღის პოტენციალი, ადამიანი მით უფრო ხვეწს მას. ჩვენს დროში გამალებულ შეიარაღებას (უწინარესად, ბირთვულს) ისეთი მძლავრი სტიმულატორები აქვს, რომ ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა იძულებულია უკეთეს შემთხვევაში ძალზე მოკრძალებულ შედეგს დასჯერდეს მასთან ბრძოლაში.

თვით დასავლეთ სპეციალისტთა შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უკვე შეძლო თავის სამსახურში ჩაეყენებინა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები და „ეფექტა-კლასის“ მეცნიერი სპეციალისტები.

საბჭოთა მორატორიუმის პერიოდში ლიკვერმორის რადიაციის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე მილერი შეშფოთებას არ მალავდა იმის გამო, რომ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შემთხვევაში ლაბორატორიას დატოვებდა ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერთა დიდი ჯგუფი. „საცდელ აფეთქებათა შედეგი მომზიდველს ხდის ამ სამუშაოს მეცნიერთათვის“, — აცხადებდა იგი. და,სამწუხაროდ, ასეთი დაუფარავი ცინიზმი რეალურ სურათს ასახავს. როგორც განიარაღების პრობლემის აღიარებული ექსპერტი პოლ უორნკე ამტკიცებს, სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს ლაბორატორიებმა აიძულეს თავის დროზე პრეზიდენტი კარტერი უარი ეთქვა ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე. ჩვენი აზრით, რთული მოვლენის ხელოვნური გამარტივება და შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს იგივე ამერიკელ მაღალკვალიფიციურ მეცნიერებს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვეული არიან უმუშევრობისაგან, მხოლოდ მატერიალური სტიმული უბიძგებდეთ „ბოინგის“, „ლოქჰიდისა“ თუ ჯენერალ ელექტრიკის“ ლაბორატორიებისაკენ. პოლიტიკური ინდეფერენტიზმი თუ აპოლიტიკური სნობიზმი უდევს საფუძვლად „პერშინგების“, „ტომაგავკების“, „მეკენების“, „ტრაიდენტების“, „მინიტმენებისა“ და ვინ უწყის კიდევ რამდენი „ეგზოტიკური“ იარაღის ავტორთა ეკანგელისტურ რწმენას საკუთარი უცოდველობისადმი? ამბობენ, თვით ედვარდ ტელერიც კი, რომელმაც უკვე „აჩუქა“ კაცობრიობას წყალბადის ბომბი და ახლა ახალ „საჩუქარს“ უმზადებს „ვარსკვლავთის ომების“ სახით, საბავშვო ზღაპრების დიდი მეცოდნეა და გატაცებით უამბობს მათ თავის შვილიშვილებსო. ნუთუ მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ შეიძლება ბავშვებს არც კი დასცალდეთ ზღაპრების სამყაროდან გამოსვლა, და რომ ამაში მისი პირადი დამსახურებაც იქნება?

ბირთვულმა ერამ პრაქტიკულად უკვე მთელ სამყაროს დაჩნია თავისი კვალი. როგორც ჩანს, ყველაზე ძნელად „შესაღწევი“ ადამიანთა გონება აღმოჩნდა. „ახალი აზროვნება“ — ეს მოდური ტერმინი როდია, მისი აუცილებლობა ბირთვულმა ხანამ განაპირობა.

დასანანია, რომ როგორც კი თეორიული მსჯელობიდან რეალურ ფაქტებს ვუბრუნდებით, კვლავ ტრადიციული სურათის პირისპირ ვრჩებით: ამერიკაში ჯერ კიდევ ცოცხალია „მინჰეტენის“ პროექტის ბევრი მონაწილე, რომლებსაც პროფესია არ გამოუცვლიათ. ბირთვული იარაღის ერის პირველი თაობა უკვე „მესამე თაობის“ ბირთვულ იარაღს ქმნის...

...რაც უფრო ცხადი ხდებოდა რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება უარი ეთქვა მორატორიუმის იდეაზე, მით უფრო ხშირად ახსენებდნენ ამერიკელი სპეციალისტები მესამე თაობის ბირთვულ იარაღს მეცნიერთა აზრით, მესამე თაობის ბირთვული იარაღის შექმნის სამუშაოები პრინციპულად გამორიცხავს მორატორიუმის იდეას: „ჩვენ ან ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ მესამე თაობის იარაღზე, ან უნდა შეეურიგდეთ აზრს, რომ ბოლო არ ექნება საცდელ ბირთვულ აფეთქებებს“,— აცხადებს ჰანს ბეტე.

მაინც, რა არის მესამე თაობის იარაღი? მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობისათვის პირველად ეს ტერმინი ცნობილი გახდა 1982 წელს. კოხგრესის ერთ-

ფოტოფაქტი




● აშშ

**„ვეტერანთა სამუშაო“ — მოითხოვს მილიონობით ამერიკელი, რომლებიც მოკლებული არიან ადამიანის ძირითად უფლებას — შრომის უფლებას. არასრული ოფიციალური მონაცემებითაც კი, სამუშაო არა აქვს 8,5 მილიონ კაცს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ახალგაზრდობა და ქვეყნის ეროვნული უმცირესობანი.**

• • •

**სურათზე: „სამუშაო და სამართლიანობა, და არა ომები!“ — წარწერილია სან-ფრანცისკოში გამართული დემონსტრაციის ნორჩი მონაწილის პლაკატზე.**

**საკდესის ფოტო.**

● საფრანგეთი

## რეზოლუცია შარჟვის

**პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმების მცირე უმრავლესობით უარყო უნდობლობის რეზოლუცია, რომელიც ოპოზიციურმა სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა.**

კენჭისყრა გაიმართა მას შემდეგ, რაც მთავრობამ ნდობის საკითხი დაუკავშირა კანონპროექტის დამტკიცებას, რომელიც ითვალისწინებს კვლავ დაუბრუნდნენ არჩევნების ორ ტურად გამართვის მაჟორიტარულ სისტემას. ახლა ეს კანონპროექტი ეროვნული კრების მიერ ავტომატურად მიღებულად ითვლება და განსახილველად გადაეცემა სენატს.

ტელეტაიპის ლენტიდან

**◆ მანაგუა. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რეიგანის ადმინისტრაციას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უსაფუძვლოდ გადაწყვიტა გაასახლოს ორი ნიკარაგუელი დიპლომატი, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ვაშინგტონის საელჩოში მუშაობდნენ.**

ნოტაში ნათქვამია, რომ ამერიკელ ხელისუფალთა მოქმედება არის ცდა „შური იძიონ“ ნიკარაგუაზე იმის გამო, რომ გამოააშკარავეს ამერიკის მანაგუის საელჩოს ორი თანამშრომელი ჯაშუშური საქმიანობა.

**◆ ბაბაბ. ნიდერლანდში გაიმართა პარლამენტის მეორე პალატის არჩევნები.**

მმართველ მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციაში შემავალმა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოწოდების პარტიამ და თავისუფლებისა და დემოკრატიის სახალხო პარტიამ შესაბამისად მიიღეს ხმების 34,6 და 17,4 პროცენტი და ახლა პარლამენტში 81 ადგილი აქვთ, რაც საკმარისია იმისათვის, რომ უმრავლესობამ მთავრობა ჩამოაყალიბოს.

„ადამიანმა დაკარგა განკვირვება და დასწრების უნარი. საბოლოო ანგარიშით, იგი დედამიწას მოსპობს“ — დიდი ჰუმანისტის ალბერტ შვაიცერის ეს მწარე პროგნოზი არცთუ მთლად პესიმისტური ფანტაზიად ჯვეველნება მასობრივი მოსპობის იარაღის სრულყოფის ფონზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის არსებობისათვის რაც უფრო საშიშ ფორმებს იღებს ასეთი იარაღის პოტენციალი, ადამიანი მით უფრო ხვეწს მას. ჩვენს დროში გამალებულ შეიარაღებას (უწინარესად, ბირთვულს) ისეთი მძლავრი სტიმულატორები აქვს, რომ ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა იძულებულია უკეთეს შემთხვევაში ძალზე მოკრძალებულ შედეგს დასჯერდეს მასთან ბრძოლაში.

თვით დასავლეთ სპეციალისტთა შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უკვე შეძლო თავის სამსახურში ჩაეყენებინა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები და „ეფექტა-კლასის“ მეცნიერი სპეციალისტები.

საბჭოთა მორატორიუმის პერიოდში ლიკვერმორის რადიაციის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე მილერი შეშფოთებას არ მალავდა იმის გამო, რომ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შემთხვევაში ლაბორატორიას დატოვებდა ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერთა დიდი ჯგუფი. „საცდელ აფეთქებათა შედეგი მომზიდველს ხდის ამ სამუშაოს მეცნიერთათვის“, — აცხადებდა იგი. და,სამწუხაროდ, ასეთი დაუფარავი ცინიზმი რეალურ სურათს ასახავს. როგორც განიარაღების პრობლემის აღიარებული ექსპერტი პოლ უორნკე ამტკიცებს, სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს ლაბორატორიებმა აიძულეს თავის დროზე პრეზიდენტი კარტერი უარი ეთქვა ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე. ჩვენი აზრით, რთული მოვლენის ხელოვნური გამარტივება და შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს იგივე ამერიკელ მაღალკვალიფიციურ მეცნიერებს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვეული არიან უმუშევრობისაგან, მხოლოდ მატერიალური სტიმული უბიძგებდეთ „ბოინგის“, „ლოქჰიდისა“ თუ ჯენერალ ელექტრიკის“ ლაბორატორიებისაკენ. პოლიტიკური ინდეფერენტიზმი თუ აპოლიტიკური სნობიზმი უდევს საფუძვლად „პერშინგების“, „ტომაგავკების“, „მეკენების“, „ტრაიდენტების“, „მინჯტმენებისა“ და ვინ უწყის კიდევ რამდენი „ეგზოტიკური“ იარაღის ავტორთა ეკანგელისტურ რწმენას საკუთარი უცოდველობისადმი? ამბობენ, თვით ედვარდ ტელერიც კი, რომელმაც უკვე „აჩუქა“ კაცობრიობას წყალბადის ბომბი და ახლა ახალ „საჩუქარს“ უმზადებს „ვარსკვლავთის ომების“ სახით, საბავშვო ზღაპრების დიდი მეცოდნეა და გატაცებით უამბობს მათ თავის შვილიშვილებსო. ნუთუ მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ შეიძლება ბავშვებს არც კი დასცალდეთ ზღაპრების სამყაროდან გამოსვლა, და რომ ამაში მისი პირადი დამსახურებაც იქნება?

ბირთვულმა ერამ პრაქტიკულად უკვე მთელ სამყაროს დაჩნია თავისი კვალი. როგორც ჩანს, ყველაზე ძნელად „შესაღწევი“ ადამიანთა გონება აღმოჩნდა. „ახალი აზროვნება“ — ეს მოდური ტერმინი როდია, მისი აუცილებლობა ბირთვულმა ხანამ განაპირობა.

დასანანია, რომ როგორც კი თეორიული მსჯელობიდან რეალურ ფაქტებს ვუბრუნდებით, კვლავ ტრადიციული სურათის პირისპირ ვრჩებით: ამერიკაში ჯერ კიდევ ცოცხალია „მანჰეტენის“ პროექტის ბევრი მონაწილე, რომლებსაც პროფესია არ გამოუცვლიათ. ბირთვული იარაღის ერის პირველი თაობა უკვე „მესამე თაობის“ ბირთვულ იარაღს ქმნის...

...რაც უფრო ცხადი ხდებოდა რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება უარი ეთქვა მორატორიუმის იდეაზე, მით უფრო ხშირად ახსენებდნენ ამერიკელი სპეციალისტები მესამე თაობის ბირთვულ იარაღს მეცნიერთა აზრით, მესამე თაობის ბირთვული იარაღის შექმნის სამუშაოები პრინციპულად გამორიცხავს მორატორიუმის იდეას: „ჩვენ ან ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ მესამე თაობის იარაღზე, ან უნდა შეეურიგდეთ აზრს, რომ ბოლო არ ექნება საცდელ ბირთვულ აფეთქებებს“,— აცხადებს ჰანს ბეტე.

მაინც, რა არის მესამე თაობის იარაღი? მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობისათვის პირველად ეს ტერმინი ცნობილი გახდა 1982 წელს. კოხგრესის ერთ-

# „ახალი აზროვნება“ და მესამე თაობის იარაღი

### საერთაშორისო შენიშვნები

ერთ კომისიაში საიდუმლო მოხსენებით გამოვიდა ედვარდ ტელერი. სწორედ მაშინ განაცხადა მან, რომ მისი ხელმძღვანელობით ლივერმორის ლაბორატორიაში მიღწეულია სერიოზული წარმატებები მესამე თაობის ბირთვული იარაღის შექმნაში (პირველი თაობის ბირთვულ იარაღად იგულისხმება ატომური ბომბი, მეორე თაობისა — წყალბადის ბომბი).

სპეციალისტთა აზრით, მესამე თაობის ბირთვული იარაღი ახალ შეიარაღებათა მთელი სპექტრია. როგორც ბირთვული ენერგიის საკითხებში უანბერგერის თანაშემწე ვაგნერი ამბობს, საქმე ეხება აფეთქების ენერგიას, რომელიც ნაწილობრივ გარდაიქმნება უფრო საჭირო ფორმად, ვიდრე ბირთვული აფეთქებისათვის დამახასიათებელი აფეთქების ტალღა და გამოყოფილი სითბოა“. ეს არ არის ახალ ფიზიკურ პრინციპზე დაფუძნებული იარაღი. ლაპარაკია ხელჩაგდ ნივთიერებათა საშუალებით ენერგიის დიდი რაოდენობის გამოყოფაზე. მისთვის დამახასიათებელია თერმობირთვული რეაქციის დროს გამოყოფილი ენერგიის უფრო მიზანდასახული და მართვადი გამოყენება.

ნეიტრონული იარაღი, რომელსაც დასავლეთში „გაზრდილი რადიაციის იარაღს „უწოდებენ, დაფუძნებულია სწრაფი ნეიტრონების დაჩქარებელ პოტენციალის გაძლიერებაზე. სწორედ იგი ითვლება ახალი თაობის „ზეიარაღის“ წინამორბედად.

მესამე თაობის იარაღს მიაკუთვნებენ აგრეთვე სპეციალურ მოწყობილობებს, რომლის „ბაზაზე“ სულია რადიოაქტიური ნაწილაკების, ნეიტრონების, გამა და რენტგენულ გამოსხივებათა „შეკვრა“ გარკვეული მიმართულების კონად. სწავლობენ აგრეთვე ბირთვულ აფეთქებათა დროს წარმოქმნილ ელექტრომაგნიტური იმპულსების გამოყენების შესაძლებლობას. მას შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ნებისმიერი ელექტრომოწყობილობა. ამერიკელ მეცნიერთა გამოანგარიშებით, 300 კილომეტრის სიმაღლეზე აფეთქებულ 50 მეგატონის სიმძლავრის წყალბადის ბომბს შეუძლია მთელ კონტინენტზე გამოიყვანოს მწყობრიდან ელექტრონული სისტემები და ელექტროგადამცემი ბაზები. ელექტრომაგნიტური იმპულსების მეშვეობით შეიძლება. შეწყდეს რადიო და ტელეგადაცემები, სატელეფონო კავშირი, მწყობრიდან გამოვიდეს კავშირგამბმულობის ხელოვნური თანამგზავრები, მართვის ელექტრონული სისტემები, კომპიუტერები, დაირღვევს საბაერო და სამხელეთო ტრანსპორტის მოძრაობა.

„ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელება წარმოუდგენელია მესამე თაობის ბირთვული იარაღის გარეშე. დღეს ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა ხორციელდება, ლივერ-

ფოტოფაქტი




● აშშ

**„ვეტერანთა სამუშაო“ — მოითხოვს მილიონობით ამერიკელი, რომლებიც მოკლებული არიან ადამიანის ძირითად უფლებას — შრომის უფლებას. არასრული ოფიციალური მონაცემებითაც კი, სამუშაო არა აქვს 8,5 მილიონ კაცს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ახალგაზრდობა და ქვეყნის ეროვნული უმცირესობანი.**

• • •

**სურათზე: „სამუშაო და სამართლიანობა, და არა ომები!“ — წარწერილია სან-ფრანცისკოში გამართული დემონსტრაციის ნორჩი მონაწილის პლაკატზე.**

**საკდესის ფოტო.**

● საფრანგეთი

## რეზოლუცია შარჟვის

**პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმების მცირე უმრავლესობით უარყო უნდობლობის რეზოლუცია, რომელიც ოპოზიციურმა სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა.**

კენჭისყრა გაიმართა მას შემდეგ, რაც მთავრობამ ნდობის საკითხი დაუკავშირა კანონპროექტის დამტკიცებას, რომელიც ითვალისწინებს კვლავ დაუბრუნდნენ არჩევნების ორ ტურად გამართვის მაჟორიტარულ სისტემას. ახლა ეს კანონპროექტი ეროვნული კრების მიერ ავტომატურად მიღებულად ითვლება და განსახილველად გადაეცემა სენატს.

ტელეტაიპის ლენტიდან

**◆ მანაგუა. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რეიგანის ადმინისტრაციას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უსაფუძვლოდ გადაწყვიტა გაასახლოს ორი ნიკარაგუელი დიპლომატი, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ვაშინგტონის საელჩოში მუშაობდნენ.**

ნოტაში ნათქვამია, რომ ამერიკელ ხელისუფალთა მოქმედება არის ცდა „შური იძიონ“ ნიკარაგუაზე იმის გამო, რომ გამოააშკარავეს ამერიკის მანაგუის საელჩოს ორი თანამშრომელი ჯაშუშური საქმიანობა.

**◆ ბაბაბ. ნიდერლანდში გაიმართა პარლამენტის მეორე პალატის არჩევნები.**

მმართველ მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციაში შემავალმა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოწოდების პარტიამ და თავისუფლებისა და დემოკრატიის სახალხო პარტიამ შესაბამისად მიიღეს ხმების 34,6 და 17,4 პროცენტი და ახლა პარლამენტში 81 ადგილი აქვთ, რაც საკმარისია იმისათვის, რომ უმრავლესობამ მთავრობა ჩამოაყალიბოს.

# „ახალი აზროვნება“ და მესამე თაობის იარაღი

### საერთაშორისო შენიშვნები

ერთ კომისიაში საიდუმლო მოხსენებით გამოვიდა ედვარდ ტელერი. სწორედ მაშინ განაცხადა მან, რომ მისი ხელმძღვანელობით ლივერმორის ლაბორატორიაში მიღწეულია სერიოზული წარმატებები მესამე თაობის ბირთვული იარაღის შექმნაში (პირველი თაობის ბირთვულ იარაღად იგულისხმება ატომური ბომბი, მეორე თაობისა — წყალბადის ბომბი).

სპეციალისტთა აზრით, მესამე თაობის ბირთვული იარაღი ახალ შეიარაღებათა მთელი სპექტრია. როგორც ბირთვული ენერგიის საკითხებში უანბერგერის თანაშემწე ვაგნერი ამბობს, საქმე ეხება აფეთქების ენერგიას, რომელიც ნაწილობრივ გარდაიქმნება უფრო საჭირო ფორმად, ვიდრე ბირთვული აფეთქებისათვის დამახასიათებელი აფეთქების ტალღა და გამოყოფილი სითბოა“. ეს არ არის ახალ ფიზიკურ პრინციპზე დაფუძნებული იარაღი. ლაპარაკია ხელჩაგდ ნივთიერებათა საშუალებით ენერგიის დიდი რაოდენობის გამოყოფაზე. მისთვის დამახასიათებელია თერმობირთვული რეაქციის დროს გამოყოფილი ენერგიის უფრო მიზანდასახული და მართვადი გამოყენება.

ნეიტრონული იარაღი, რომელსაც დასავლეთში „გაზრდილი რადიაციის იარაღს „უწოდებენ, დაფუძნებულია სწრაფი ნეიტრონების დაჩქარებელ პოტენციალის გაძლიერებაზე. სწ



# მეტყველი ქვები

## დასტან-საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ზოგიერთი შედეგი

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წლიდან იკვლევს ქართული კულტურის წრის ძეგლებს ჩრდილოეთ კავკასიაში — ჩეჩნ-ეთ-ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში (დვალეთში). გამომზეურებულია და მეცნიერულად შესწავლილია ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის, ქვისა და ხის ჩუქურთმის, კედლის მხატვრობის, ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლები, ქრისტიანული სამაროვნები...**

**1976 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ბ. წადასის სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციათა შეთანხმებით ჩამოყალიბდა დაღესტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია, რაც მოამე რეპუბლიკათა სამეცნიერო კონტაქტების ერთ-ერთი კარგი მაგალითია.**

**გაერთიანებულმა ექსპედიციამ არქეოლოგიური კვლევა-ძიება გაამართა მთიან დაღესტანში — ავარეთში (ქართული ისტორიული წყაროებით — „ხუნძეთი"). მოეწყო 5 არქეოლოგიური კამპანია...**

**ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოჩენილი მასალებით იკვლევა კავკასიოლოგიის მრავალი პოლიტიკურ-კულტუროლოგიური საკითხი, ნათლად მტკიცდება შუა საუკუნეთა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მჭიდრო და მეგობრული კავშირურთიერთობანი...**

**იმიერკავკასიის** ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ისტორიის გაშუქება კავკასიოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა, რადგანაც მის უშუალოდ უკავშირდება კულტურის ისტორიის, საზოგადოებრივი განვითარების, პოლიტიკური და, საზოგადოდ, კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი.

ეს პრობლემა XVIII საუკუნის მიწურულს წარმოიშვა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად ჩვენს დროში შეისწავლება. დღეს საყოველთაოდ ცნობილია ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ხელოვნების ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ენათმეცნიერთა და ფოლკლორისტთა კვლევის შედეგები. მეცნიერული კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური მიმართულება სწორედ ამ მეცნიერულ დისციპლინათა მიხედვით პრობლემის კომპლექსური შესწავლაა.

სხვადასხვა თაობის მეცნიერებმა გამოამზეურეს ქრისტიანული კულტურის მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლები იმიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე. თუმც, როგორც ჩანს, მიუკვლეველიც ჯერ კიდევ ბევრია. ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის ზოგიერთი ძეგლი არ არის შესწავლილი თანამედროვე მეცნიერულ დონეებათა და თვითმყოფობის გამოვლენის ტენდენცია დადებითი ისტორიოგრაფიული პოზიციაა, რაც მის პერსპექტიულობას განაპირობებს

ახალ მტკიცებათა კომპენდიუმით (იგი ქართულმა კავკასიოლოგიამ 70-80-იან წლებში შეიმუშავა) ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის სივრცესა და სიღრმეში გავრცელება-შეღწევა X საუკუნეში იწყება. ფეოდალური საქართველოს სრულ გაერთიანებამდე ჩრდილო-დასავლეთ ხმიერ-კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი ბიზანტიასთან ერთად დასავლეთქართული სამეფო—ფუხაზეთია, ცენტრალურ იმიერკავკასიაში (დვალეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი) — ქართლი და კახეთის სამთავრო-სამეფო, ხოლო გაერთიანების შემდეგ — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ცალკე აღინიშნება ქარ-



თული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი. როგორც ჩანს, საქართველოს საკათალიკოსო-საპატრიარქოს status quo-ს და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას გამოხატავს XI საუკუნის დამდეგის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოქმედება პირველის მოხსენიება „აღმოსავლეთის პატრიარქად" იმერკავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ძეგლის ტყობა-იერდას (ინგუშეთი) ტაძარზე.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და ფეოდალური კულტურის გავრცელებით იდეოლოგიურ-კულტურული საფუძვლის შექმნა შედეგი კავკასიის მასშტაბით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა (საშინაო-ფეოდალურ ფორმაციული ხასიათისა) საერთო-კავკასიური მასშტაბით — ჩრდილოელ მომთაბარეთა და ძლიერი სამხრეთელი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, მთისა და ბარის მეურნეობათა ეკონომიკური კავშირები და სხვა). მან შუაფეოდალური ხანაში წარმოშვა წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრივი გაერთიანება. კავკასიის ინტეგრაციის ეს ევოლუციური პროცესი (პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-რელიგიური), რომელიც პოზიტიური ისტორიული მოვლენა იყო, შეწყდა თათარ-მონგოლთა და, განსაკუთრებით, თემურლენგის შემოსევათა შემდეგ. წარმოიშვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული რეგრესი. განვითარდნენ ცენტრიდანული ძალები, რომელთაც დამალეს არა მარტო კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთიანობა. ამასთან დაკავშირებით იშლება საეკლესიო-რელიგიური ერთიანობაც და ირღვევა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საძირკველებიც (გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის ცალკეული ფაქტები უკვე ვერ გამოხატავს მოვლენის ევოლუციურ განვითარებას, ვინაიდან მისთვის უკვე აღარ არსებობდა ისტორიული საფუძველი). ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში (დაღესტანი) მაჰმადიანური რელიგია ვრცელდება და მკვიდრდება, რომელმაც ახალი კულტურული ტენდენციები მოიტანა. კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებში კი, მის გავრცელებამდე, ნაწილობრივ რესტავრირდება წარმართული რელიგია, რომელიც ქრისტიანობასთან თანაარსებობს (ამ გარდამავალი ეპოქის არსებობით აიხსნება სწორედ ეგრეთწოდებული „ქრისტიანულ-წარმართული" სამლოცველოები ცენტრალურ და დასავლეთ ინგუშეთში, რაც ნიშანდობლივია, არ გვხვდება დაღესტნის მთებში).

**გ. ღამბაშიძე,**

**სსრ კავშირის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების დაღესტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

(დასასრული იქნება)



**სურათებზე: ჯვარზე არსებული ძველქართული წარწერა ხუნძახიდან; სოფელ დათუნას ეკლესიის ხელი; ძველქართული წარწერა ჯვრის ნატეხზე აქაოს მთის ნაეკლესიარიდან.**

# დევნილი ჯოჯოხეთიდან




**ჯოჯოხეთის** უზარმაზარ კუპრის ქვაბში ათასნაირი ცოდვილი იხარშება. დროდადრო მაგრად ჩარაზული ვეება ჭიშკრის მომცრო სარკმელი იღება და არსთაგამრიგეს ბრძანებით სამოთხის მიჯნიდან ნაცრისფერი კუპრში ისვრიან ცოდვილს.

მოადენს ტყაპანს ცოდვილი ადუღებულ კუპრში, ერთს შეჭყვირებს და მაშინვე სხვებს დაემსგავსება.

მივარდებიან სხვა ცოდვილები და დაუწყებენ გამოკითხვას — ვინ არის, რა დაშავა, ვის იცნობს, კითხულობენ ნაცნობ-მეგობრებს...

ცოდვილიც ადმიანია, რა ქნან, ჯოჯოხეთიდან ამ ქვეყანასთან არავითარი კავშირის დამყარების სხვა საშუალება არ არსებობს.

ცოდვილი ბევრია, მაგრამ ადგილიც ბევრია (ჩანს ამაზე დროზე უფიქრია, ვისაც ჯერ არსრ!) იხარშებიან თავიანთი ცოდვებით ამ ვეებრ ქვაბში მექრთამეებენ, თაღლითები, კომბინატორები, საქმოსნები. რამდენიმე ყოფილი თანამდებობის პირიც... და არის ერთი ცოდვა-მაღლის განკითხვა.

ამ დროს გაიღო სარკმელი და ზევიდან ვიღაც ახალი ცოდვილი ისროლეს. თან ისეთი გინება მოაყოლეს, რომ... რა არ სმენია ჯოჯოხეთს და ასეთი „კურთხება" არც ერთ ცოდვილს არ მოჰყოლია!

ცოდვილებმა ყური აქციტეს (აქ მამასახლისი არჩევითია, ცდილობენ ნაკლებ ცოდვილი აირჩიონ).

მამასახლისი ატმის ქურდი იყო (ამაზე ნაკლებ ცოდვილი ვინლაა!) პატრონნი არა მყავდა იმ ქვეყანას, თორემ მე რა აქ მოსაყვანი ვიყავიო, ამბობდა იგი.

— სახეს ისე გვარიდებს, „ანონიმისტი" იქნება, — თქვა კომბინატორმა.

— მოგვესალმე, ახლობელო! — დაუძახა მას ექსპედიტორად ყოფილმა.

— არ გვკადრულობს! — გაიწია მასზე ალიმენტის ურჩი გადამხდელი.

ახალცოდვილმა ჯოჯოხეთის ტრადიციის მიხედვით თვითონ დაიწყო მოყოლა, რაც ჩაიდინა:

— დიდად პატივცემულო ცოდვილნო! კეთილი იყოს ჩემი ფეხი ჯოჯოხეთში.

პეშვით კუპრი აიღო, ტანზე წაისვა და თქვა:

— ააშენა ღმერთმა ამის ამდუღებელი, ძლივს არ გავთბი?

— ასეთი რა ცოდვა ჩაიდინე ადამიანო, აქ რომ გცივა?

— მე „ანონიმკების" ახალი მეთოდი შევქმენი, ასე ვთქვათ, მთელი მიმართულება. ეს გახლავთ ტელე ანუ ტელეფონოლანძღვა-გინება-შეჩვენე ბ-ცილისწამება, შემოკლებულად — „ტელეანათემა".

—საინტერესოა, თქვა ანონიმური წერილების წერაზე გაწაფულმა დირექტორის მოადგილემ, რომელიც ზუსტად 36 წელი, 8 თვე და შვიდი დღე (სამსახურის დაწყებიდან გარდაცვალებამდე) უწერდა ხელმოუწერელ საჩივრებს თავის დირექტორს.

დირექტორი მაინც არ მოხსნეს, რის შედეგადაც თვითონ გარდაიცვალა და ახლა აქ აჯახირებს თავის წაწყმედილ სულს.

— თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გაგვაცანით თქვენი მეთოდიკა! — დაინტერესდა მდიდარ ქალებზე მონადირე ალფონსი.

— იღებთ ჩვეულებრივ ყურმილს... რეკავთ წინასწარ შეგულებულ ნომერზე, ისმის — გისმენთ!...

წარუდგებით თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გვარით ან ღვთისმსახურად აცხადებთ თავს.

მერე კი, რაც რამ წყევლა და კრულვა გსმენიათ ოდესმე, მისი მისამართით წარმოთქვამთ (დაუკვირდით, წარმოთქვამთ და არა იტყვით!) ეს მეტ დამჯერებლობას მატებს ფაქტს.

არ უნდა დაუტოვო არც ცოლი, არც შვილი, არც შვილიშვილი, არც შთამომავლობა, არც წარსული, არც მომავალი და არც წინაპარი.

წყევლა და კრულვა ერთმანეთს უნდა ცვლიდეს, მაგალითად, „დედამისს უნდა გაწყალებოდა მუცელში", — ეს წყევლაა. „გადაშენდეს მისი მოდგმა" — ეს კრულვა და ასე შემდეგ.

...მთელი ჯოჯოხეთი გასუსული უსმენდა.

— ჩვენ ცოდვიანები ვართ, ეს გათახსირებული ყოფილა! — იწყინა აყლაყუდამ, რომელიც სამსახურში დერეფნებში დადიოდა და უსაქმოდ დაჭორაობდა.

უეცრად ბოლო რიგებიდან დაიყვირა ვიღაცამ:

— ჩვენი საქმის დიდ რეფორმატორს, ვაშა!...

ვაშაა, გაისმა კანტი-კუნტად. დიდი აღტაცება არავის გამოუხატავს.

— შემდეგ! — განაგრძო „მეთოდისტმა", — გულდასმით უნდა შეირჩეს „შენი სამიზნის" წრე და ნაცნობები, მისი კოლეგები, ხელმძღვანელები და ხელქვეითნი, შეიძლება ნათესავები და მეზობლებიც და იმავე მეთოდით უნდა იმოქმედოთ. შეიძლება ხატზეც გადასცეთ და ეს ყველას შეატყობინოთ.

ტონი უნდა იყოს აკადემიური, მორთოლვარე, სასულიერო პირის შთაბეჭდილება მოახდინოთ! მაგალითად, მე ბოლო ხანს ვემტერებოდი ერთ მწერალს, ამიტომ უფრო შემოქმედებითი ინტელიგენცია შევარჩიე — მწერლები, კრიტიკოსები, გამომცემლები, მეცნიერები... და რიგ-რიგობით ვურეკავდი მათ... ერთმა ისიც კი მთხოვა, სადმე შევხვდეთო.

— მერე? — წამოიყვირა ბრიყვმა მოანგარიშემ (რომელიც აქ, როგორც ამბობენ, სხვის მაგვრად იყო, — ფული აუღია.)

— მე მას ასე მივუგე: ჯერ ჩემ ადგილსამყოფელს ვერავის გაგანდობ, ჩემი ცოდვილი სული ბნელში მყავს, სასჯელი მადევს, მოვიხდი და მერე შეგხვდებიმეთქი, ჩვენს საქმეში მთავარია ნებისყოფა და ერთ წერტილში გამუდმებული კაკუნის უნარი!

ამას რომ ჰყვებოდა, „მეთოდისტს" თანდათან ცოდვამ უწია და აკანკალდა:

— მამასახლისმა თქვა:

— ეს უფრო მკაცრი რეჟიმის ქვაბში უნდა გადავიყვანოო, სადაც კუპრი უფრო დიდ ტემპერატურაზე ცხელდება.

— გაათრიეთ... ამას ჩვენთან რა უნდა... — დაიძახა ერთმა.

— ჩვენი ეკლესია ლოცვაკურთხევისაა, ამ გარეწარმა რაღა მას შეაფარა თავი! — თქვა ერთმა ბეჩავმა მორწმუნემ.

— გავაგდოთ აქედან, ასეთები ჩვენ შორისაც კი არ უნდა იყვნენ...

— ჩვენ მაგასთან ანგელოზები ვართ.. ჯოჯოხეთშიც კი არ არის ამის ადგილი! — ყვიროდა ლოთი ხრინწიანი ხმით.

— მოიკვეთოს! — დაიყვირა ვიღაცამ.

— მოიკვეთოს!

— მოიკვეთოს!

— მოიკვეთოს, — გაისმა ყოველი მხრიდან.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ატყდა დიდი ამბავი. ცოდვიანებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ახალი ტიპის „ანონიმისტი" უნდა მოიკვეთოს, და მკაცრი რეჟიმის ქვაბში გადაიყვანონ.

რეკომენდაცია გაეწიოს ყველა ცოდვიანს, ზემოთ აღწერილი მეთოდი არ გამოიყენოს.

ზოგს უხარიდა, ზოგი ტაშს უკრავდა, საერთოდ მთელი ჯოჯოხეთი კმაყოფილი იყო, რომ ვიღაც ნახეს და დაგმეს, ვინც მათზე სულმდაბალი ყოფილა!

— არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა, წამებითა ცრუთა; არა გული გითქმოდეს ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა!...

პუტუნობდა ის ბეჩავი ბერიკაცი, რომელიც ამ სატანჯველში თურმე ინტრიგანებმა მოახვედრეს. ამიტომაც ამბობდა იგი:

— ანდაზაა: ცხვირი რომ შუაში არ იყოს, თვალი თვალის მტერიაო... დათვლილი მაქვს, ყოველ ერთ ნიჭიერზე — ათი უნიჭოა ჩასაფრებული. ენერგიულსა და გამჭრიახზე — ოცი უქნარა და გონებაჩლუნგი, ყველა კეთილზე — ოცდაათი ბოროტი!

თქვა ბეჩავმა და ატირდა. მაშინ კი ჯოჯოხეთლები ერთხმად მისცვივდნენ ახალმოსულს, მაგალ არც მკაცრი რეჟიმის ქვაბში არ ეკუთვნის ყოფნაო, მაგის საკადრისი კუპრი ჯერ არ მოდუღებულაო, ცემა დაუწყეს და ჯოჯოხეთიდან კინწისკვრით გაგდეს სადღაც — ჯოჯოხეთის ჯანდაბაში. ...

• • •

იცოცხლეთ, არც აქ დააკლდება ჯოჯოხეთიდან დევნილს პანღური და მუჯლუგუნი, მაგრამ ბნელში რომ ზის ეს ოჯახქორი...

**რეზო დვალიშვილი.**


## სატირული კალმით

### ბიუროკრატი სავარძელში






ი. ყეინაშვილის ნახ.


## ყაბალი

### მერვე ტრადიციული...

**თბილისში** გრძელდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის ტრადიციული მერვე საერთაშორისო ტურნირი. მეორე დღის შეჯვედრებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ევროპის ორი საუკეთესო გუნდის — უნგრეთისა და იუგოსლავიის კოლექტივების შეხვედრა. და მაინც, თანაბარი თამაშის მოწმენი ვერ გავხდით: უნგრელებმა გაიელვებით უკეთ ითამაშეს და დამჯერებლადაც გიმარჯვეს — 10:7. მათ ოთხი პერიოდიდან პირველი და მესამე მოიგეს (4:2 და 3:1), მხოლოდ ერთი — მეორე პერიოდი წაგეს (1:2) და ერთიც (მეოთხე პერიოდი) ფრედ (2:2) დაამთავრეს. გამარჯვებულები მეტოქეებზე გაცილებით სწრაფად მოძრაობდნენ და თამაშის ტაქტიკური გეგმაც მახვილგონივრული ჰქონდათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის პირველი და მეორე გუნდების შეხვედრაში იოლი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მთავარ ნაკრებს დარჩა — 13:5 (4:1, 2:2, 4:2, 3:0). როგორც ხედავთ, ამ მატჩში მეორე ნაკრებმა პირველს თანაბარი მეტოქეობა მხოლოდ მეორე პერიოდში გაუწია.

გუშინ გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები, რომელთა შედეგები ასეთია: იუგოსლავია-სსრ კავშირი II — 10:9, საქართველო-სსრ კავშირი I — 6:11.

დღეს იასპარეზებენ სსრ კავშირი I — უნგრეთი და სსრ კავშირი II — საქართველო. მატჩების დასაწყისი 12 და 13 საათზე.

## სატურნირო ორბიტა

**მშვიდობის ველოტრბოლა.** ამ ტრადიციული, 39-ე შეჯიბრების ბოლო, მეთხუთმეტე ეტაპი (ზლადა-ბოლესლავი — პრაღა; 131 კმ) ო. ლუდვიგმა (გდრ) მოიგო. აღსანიშნავია ისიც, რომ მან თხუთმეტი ეტაპიდან შვიდში იზეიმა გამარჯვება. ფინიშთან მეორე იყო ა. საიტოვი (სსრ კავშირი). მესამე ადგილზე კი გამოვიდა ნ. ნოვოსადი. (ჩეხოსლოვაკია). 15 ეტაპის ჯამით პირად ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ო. ლუდვიგმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. პულნიკოვი, მესამეზე — ა. საიტოვი (ორივე — სსრ კავშირი). საერთო გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა ვ. პულნიკოვმა, ა. საიტოვმა, ს. უსლამინმა, ვ. კლიმოვმა, ი. რომანოვმა და ვ. ყდანოვმა ოქროს გვირგვინები მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა გდრ-ის ნაკრები, მესამეზე — ჩეხოსლოვაკიის გუნდი. შევნიშნავთ იმასაც, რომ საჭოთა ველოსიპედისტები გუნდურ ჩათვლაში მეორე ეტაპიდან ლიდერობდნენ და იგი ბოლომდე არ დაუთმიათ. მშვიდობის ველორბოლების ისტორიაში სსრ კავშირის ნაკრებმა მეცხრამეტე გამარჯვება მოიპოვა.

**კალათბურთი.** თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: მოსკოვის „დინამო"-საქართველოს ნაკრები — 117:67, ფრუნზეს „დინამო"-ჩეხოსლოვაკიის „რუდა ზვეზდა" — 85:82, თბილისის „დინამო"-პოლონეთის „ვისლა" — 99:88.

**ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მესამე ქვეჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მეტოქემ — საფრანგეთის გუნდმა მექსიკაში პირველი საწვრთნელი მატჩი გამართა. ფრანგები შეხვდნენ გვატემალელ ფეხბურთელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:1. შეხვედრა წარიმართა სამ ოცდაათწუთიან ტაიმებად.


**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**


## ორშაბათი, 26 მაისი

# ცისფერ ეკრანზე

## საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცხოველთა საოცარი სამყარო". 11.05 — ლიტერატურული გადაცემა „ჰოი, დედანო" (განმეორებით). 12.00 დოკუმენტური ფილმი „სიყვარული ისევ მოვა". 12.30 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" (განმეორებით). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „უნა ჯაფარიძე". 14.05 — მუსიკალური გასართობი პროგრამა „გზები, გზები" (განმეორებით). 14.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გარგანტუა და პანტაგრუელი". 15.35 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საზღვარი მდინარის მიღმა". 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.40 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 17.10 — „თეატრალური ალბომი". 17.20 — განცხადებები. 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფისუნია „ეენიაზე". 17.40 — პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის. „მოგითხრობთ პროფესიაზე" (მექანიზატორები). 18.00 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 18.30 — უფროსკლასელთათვის. „ალარი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა". 19.15 — „საერთაშორისო დღიური". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (ორჯონიკიძიდან). 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე ერევნის „არარატი-ქუთაისის „ტორპედო". 25 მაისის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ავსტრალიური შთაბეჭდილებები (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები ავსტრალიაში). 23.55 — საინფორმაციო გამოშვება.

**მეორე პროგრამა.** 16.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ქართული არქეოლოგია"., 17.25 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა".

## სამშაბათი, 27 მაისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — „საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 10.35 — დოკუმენტური ფილმი „პარტიული სამუშაო". 11.25 — „უკრავს რევაზ ჯიბლაძე". 12.05 — დოკუმენტური ფილმი „ანტარქტიდის აღმოჩენა". 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — პიტერენტთათვის. ქიმია. 14.15 — „ქართული ფოლკლორის მოამაგენი". „აკაკი შანიძე" (განმეორებით). 14.55 — კინოჟურნალი „ბინდა ყველაფერი ეიცოდე". 15.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „კატავეის ოუმორისტები". 15.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მზიანი წვიმა". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „თეთრი კოზაკი". 17.10 — მოსწავლეთათვის. „თეატრი და ბავშვები". 18.00 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე" (მიმოხილვა). 18.30 — „ფსიქოლოგია ხალხის სამსახურში". 19.10 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ჩვენი სოფელი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (ორჯონიკიძიდან). 21.00 — „ცეროდენას ეკრანი". 21.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (პროგრამაშია გერშვინის ნაწარმოებები). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უანლესი". 22.45 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლაჟა".

**მეორე პროგრამა.** 16.35 — მხატვრული ფილმი „სერაფიმი და დედამიწის სხვა მცხოვრებნი". 18.10 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია.

## ოთხშაბათი, 28 მაისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — „საგამოფენო დარბაზებში" (განმეორებით). 11.15 — მხატვრული ფილმი. 12.25 — მუსიკალური შესვენება. 12.30 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები". შამშე ლეჟავა (განმეორებით). 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 14.20 — მოსწავლეთათვის. „სტრიქონები თქვენი წერილებიდან" (განმეორებით). 15.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მსახურობენ ძმები საზღვარზე". 15.35 — პიოდნის საფოტბურთი. მოსკოვის „დინამო"-„დნეპრი". მეორე ტაიმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — მძლეოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ისტორიული ფილმის ეკრანი „ეშმაკის ბუნაგი". 24.00 — ახალი ამბები.

## ხუთშაბათი, 29 მაისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ანსამბლი". 10.40 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 11.10 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მირნი" და „ხივა". 11.50 — „მუსიკის სამყაროში" (განმეორებით). 13.00 — ბიბლიოგენტთათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 14.15 — „საესტრადო პანორამა". (განმეორე ბ ი თ). 15.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანდრონიკოვის სიტყვა". ფილმი მესამე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სეევდიანი ვალსი". 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „რვაფეხა". 17.25 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 17.55 — „როცა ჩარხები სდუმან" (განმეორებით). 18.45 — ახალგაზრდობისათვის „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები". იეკა რიეინაშვილი. 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — მოამბე. 20.40 — „ყრილობაზე ითქვა, რა კეთდება". 21.00 — ძველი ბერძნული პოეზია. 21.40 — სახალხო დღესასწაული „გარეჯობა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — საგაზაფხულო კინოფესტივალი „სიცილისა და სიმღერის ეკრანი". ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე".

**მეორე პროგრამა.** 16.35 — დოკუმენტური ფილმი. 17.05 — მოსწავლეთათვის. „ჰიგიენა და ჯანმრთელობა". 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.00 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 18.45 — კინოჟურნალი.

## პარასკევი, 30 მაისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვობის სახელით". 10.50 — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ. „ესპანეთი-82" (ფერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 14.15 — „ქორეოგრაფი რევაზ ჭანიშვილი". (განმეორებით). 14.50 — დოკუმენტური ფილმები. 15.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.45 — სოფლის პოიონერტანები: სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. (მ.). 16.40 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — „ახალი წიგნები". 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.20 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მერიდიანზე". 18.45 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი". 19.00 — „იავნანა" საოჯახო კლუბი. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — სპორტპიანო ტროის კონცერტი. 21.00 — განვახორციელოთ სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები. „ერთად და ახლავე". 21.25 — ახალგაზრდობისათვის „ეს შაბათ-კვირა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

**მეორე პროგრამა.** 16.15 — სატელევიზიო სპექტაკლი „დაუმთავრებელი სიმფონია". 17.50 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 18.35 — დოკუმენტური ფილმი.

## შაბათი, 31 მაისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „ჯანმრთელობა" (მ.). 11.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.50 — „მეგობრების ეკრანი". ყირგიზეთის ტელევიზიის პროგრამა 13.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.25 — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ. „ესპანეთი-82" (იტალიისა და ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). 15.20 — შევისწავლოთ რუსული ენა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.05 — „სამრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეიმრებისათვის. 16.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.55 — ახალგაზრდობისათ